ახალი განათლება

2009 წელი, 5 – 11 ნოემბერი

ფასი 90 თეთრი

№33 (467) გამოდის 1998 წლიდან

2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე

1. ყველა აბიტურიენტი 4 გამოცდას ჩააბარებს, აქედან 3 ყველასათვის საერთო იქნება (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხოური ენა). მეოთხე გამოცდას ფაკულტეტი აირჩევს შემდეგი ნუსხიდან: მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ლიტერატურა.

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოცდა და ისტორია-საზოგადოებრივი მეცნიერებების გამოცდა დაიყო ცალკე გამოცდებად: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია.

ფაკულტეტს შეუძლია აირჩიოს არა ერთი, არამედ რამდენიმე (ყველა) არჩევითი გამოცდა და დააწესოს კვოტა თითოეული გამოცდის შედეგით მისაღები კონტინგენტისთვის. მაგალითად: სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტს შეუძლია მეოთხე გამოცდად აირჩიოს არა მხოლოდ ბიოლოგია ან მხოლოდ ქიმია, არამედ ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია.

ასეთ შემთხვევაში ფაკულტეტი იმთავითვე განსაზღვრავს, თუ როგორ გაანაწილებს ადგილების რაოდენობას შესაბამისი გამოცდების მიხედვით. მაგალითად: თუ ერთ-ერთ ფაკულტეტზე მისაღები ადგილების რაოდენობაა 120, ფაკულტეტი აცხადებს, რომ 120-დან 30 ადგილზე მიიღებს აბიტურიენტებს, რომლებმაც ფიზიკა ჩააბარეს, 40-ზე მათ, ვინც ქიმია ჩააბარა, დანარჩენ ადგილებზე კი იმ აბიტურიენტებს, ვინც ბიოლოგია ჩააბარა. ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტი ირჩევს მითითებულიდან რომელიმე ერთ (ან რამდენიმე) გამოცდას.

ვთქვათ, იმ აბიტურიენტთაგან, რომლებაც ამ კონკრეტულ ფაკულტეტზე გააკეთეს განაცხადი და მეოთხე გამოცდად ფიზიკა ჩააბარეს, ჩაირიცხა 24. დარჩენილი 6 ადგილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წინასწარ გამოყოფილი კვოტებით შეივსება იმ აბიტურიენტებით, რომლებიც ამავე ფაკულტეტზე აბარებდნენ მეოთხე გამოცდად ქიმიას ან ბიოლოგიას და ვერ ჩაირიცხნენ ამ გამოცდებისათვის განკუთვნილ ადგილებზე.

3. იცვლება სახელმწიფო დაფინანსების გაცემის წესი.

სახელმწიფო გრანტი კვლავ სრული და ნაწილობრივი (100%, 70%, 50% და 30%-იანი) იქნება, თუმცა 2010 წლიდან სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა არა მხოლოდ ზოგადი უნარების, არამედ ყველა გამოცდის (სავალდებულო გამოცდებისა და ერთ-ერთი არჩევითი გამოცდის) შედეგის მიხედვით, სადაც ზოგადი უნარების გამოცდის შედეგს ექნება წონა (კოეფიციენტი) 1,5. მაგალითად:

თუ აბიტურიენტმა მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში 169,1, ზოგად უნარებში 165,7, უცხოურ ენაში 164,8 და მათემატიკაში 164,0 მისი საგრანტო ქულა იქნება 169,1 + 165,7X1,5 + 164,8 + 164,0 = 746,45

745,45 იქნება აბიტურიენტის საგრანტო ქულა, რომლითაც ის კონკურენციას გაუწევს სხვა აბიტურიენტებს დაფინანსების მოსაპოვებლად შემდეგი პრინციპით:

სახელმწიფო დაფინანსების გაცემა მოხდება არა ერთიანი რეიტინგული სიის მიხედვით, არამედ ყოველი არჩევითი საგნისთვის (მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ლიტერატურა) შედგება საგრანტო ქულაზე დაფუძნებული რეიტინგული სია და კონკრეტული არჩევითი საგნისთვის გამოყოფილი თანხა ამ რეიტინგული სიის მიხედვით განაწილდება. მაგალითად: დაფინანსების მოსაპოვებლად ერთმანეთს კონკურენციას გაუწევს ყველა აბიტურიენტი, რომელმაც ჩააბარა მათემატიკა, ზუსტად ასევე ერთმანეთს შეეჯიბრებიან აბიტურიენტები, რომლებმაც ჩააბარეს ქიმია, ან ლიტერატურა და ა.შ.

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 7% თანაბრად განაწილდება ყოველ არჩევით საგანზე (მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ლიტერატურა – თითოეულზე 1%). დარჩენილი 93% – პროპორციულად განაწილდება აბიტურიენტების მიერ არჩევითი საგნის არჩევის რაოდენობის შესაბამისად (ე.წ. კონკურსის შესაბამისად).

თუ აბიტურიენტი ჩააბარებს რამდენიმე არჩევით საგანს, მისი დაფინანსება მოხდება იმ არჩევითი საგნის სკალირებული ქულის შესაბამისად, რომლითაც ის მოიპოვებს სწავლის გაგრძელების უფლებას კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე.

თუ აბიტურიენტი ჩააბარებს ფაკულტეტის მიერ მოთხოვნილ ორ ან მეტ არჩევითი საგნის გამოცდას, ის დაფინანსების კონკურსში მონაწილეობას მიიღებს იმ არჩევით საგანში მოპოვებული სკალირებული ქულით, რომლითაც მეტ დაფინანსებას მიიღებს, მიუხედავად იმისა, რომელი გამოცდის შედეგით ჩაირიცხება ამ ფაკულტეტზე.

თუ რომელიმე მიმართულებისათვის გამოყოფილი თანხა ბოლომდე ვერ იქნება ათვისებული, დარჩენილი რაოდენობა პროპორციულად გადანაწილდება არჩევით საგნებს შორის.

4. მიუხედავად იმისა, თუ რამდენია საგამოცდო ტესტის მაქსიმალური ქულა (100, 80 ან სხვ.), მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იქნება მაქსიმალური ქულის 25% (უცხო ენებისათვის 20%). შესაბამისად, აბიტურიენტმა უნდა მიიღოს მაქსიმალური ქულის 25%-ზე მეტი (უცხო ენებისათვის 20%-ზე მეტი), რათა გააგრძელოს კონკურსში მონაწილეობა. უმაღლეს სასწავლებელს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ გაზარდოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

5. ზოგადი უნარების ტესტის თითოეულ ნაწილში (ვერბალური და მათემატიკური) იქნება 40 (და არა 50) დავალება, ხოლო ტესტზე სამუშაოდ აბიტურიენტებს კვლავ 3 საათი მიეცემათ. ზოგადი უნარების ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 80, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი 25%, ანუ 20 ქულა (აბიტურიენტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 21 ქულა, რათა გაგრძელოს კონკურსში მონაწილეობა).

6. სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საშემსრულებლო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასაბარებლად აბიტურიენტი აბარებს შესაბამის კონკურსს და 3 გამოცდას (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა).

აბიტურიენტი, რომელიც აბარებს სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საშემსრულებლო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სახელმწიფო დაფინანსებას იღებს შესაბამისი კონკურსის შედეგის საფუძველზე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან.

თუ აბიტურიენტი აბარებს სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტების საშემსრულებლო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე და სურს, მოიპოვოს სახელმწიფო სასწავლო გრანტი, მან, სავალდებულო საგნებთან ერთად, უნდა ჩააბაროს მის მიერ არჩეულ არჩევითი საგნებიდან ერთი გამოცდა. არჩევითი საგნის გამოცდის ქულა გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნებისთვის.

2010 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა (პროექტი)

2010 წლის ერთიან ეროვნულ საგამოცდო პროგრამის საბოლოო ვერსია გამოქვეყნდება მას შემდეგ, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ეროვნულ სასწავლო გეგმებთან ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამის შესაბამისობის საკითხების განხილვის მიზნით შექმნილი კომისია დაასრულებს მუშაობას და კომისიის დასკვნის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დაამტკიცებს 2010 წლის ერთიან ეროვნულ საგამოცდო პროგრამას.

„დიალოგი+“-ის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

„დიალოგი +“-ის პირველი ნომერი გამოვა მიმდინარე სასწავლო წლის 11 ნოემბერს, ამიტომ ერთწლიანი ხელმოწერის ვადა გაგრძელდა 10 ნოემბრამდე. გთხოვთ, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი 10 ნოემბრამდე მიაწოდოთ თქვენი რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმომწერი ვერ მიიღებს გაზეთის პირველ ნომერს

სიახლე! 2009-2010 სასწავლო წელს გაზეთ „დიალოგი+“-ის ხელმოწერებს და გავრცელებას ახორციელებს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია

2009-2010 სასწავლო წელს გამოვა „დიალოგი +“ -ის 8 ნომერი (ნოემბერ-ივნისი). გაზეთის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე.

გადმორიცხვის დროს, აუცილებელია, გარკვევით მიეთითოს ქალაქის, დაბის ან სოფლის დასახელება.

სასურველია, ხელმოწერები განხორციელდეს 10 ნოემბრამდე, რათა ყველა ხელმომწერმა მიიღოს „დიალოგი+“-ის სრული კომპლექტი. „დიალოგი +“-ის საცალო ღირებულებაა *1 ლარი,* კომპლექტის ანუ გამოწერის წლიური თანხა შეადგენს *8 ლარს.*

გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: **რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს** და **ორგანიზაციებს.**

გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის მისამართია: თბილისი, ტეტელაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890 958023; 877 132283
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

გაზეთის ხელმოწერის თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები	შპს „ახალი განათლება“
მიმღები ბანკი	სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი	220101956
ანგარიშის ნომერი	30236563
საიდენტიფიკაციო კოდი	202058735

ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერი ბანკიდან.

პატივისცემით, "დიალოგი + "- ის რედაქცია

გამოხმაურება

დაუსჯელობის სინდრომი რომ არ დამკვიდრდეს

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო ბავშვთა აგრესიის ერთობ პრობლემურ საკითხს და კონკრეტულად ვისაუბრო ბოლო დროს ძალიან გახმაურებულ შემთხვევაზე, როდესაც სამმა მოზარდმა გოგონამ, ეგრეთ წოდებულ „ლონდონის ბაღში“, ერთ გოგონას ექვსი ჭრილობა მიაყენა.

ჩემთვის ეს შემთხვევა ორმაგად მტკივნეულია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი ნ. კ. ჩვენი სკოლის მოსწავლედ ირიცხება დღემდე (თუმცაღა მან თბილისში 5 სკოლა გამოიცვალა და მხოლოდ ბოლო რამდენიმე თვე სწავლობდა ჩვენთან), ხოლო დაზარალებულის პირადი ფსიქოლოგი ვარ. ორმაგად დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი. მინდა, ჩემი შეხედულება ამის შესახებ ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ.

უდიდესი პატივისცემით მივესალმები ჩემი კოლეგა-ფსიქოლოგების აზრს, რიგ საკითხებში საერთო პლატფორმაზე ვდგავართ, მაგრამ მე, როგორც პრაქტიკოს ფსიქოლოგს, რომელსაც ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს სკოლის მოსწავლეებთან, ცოტა განსხვავებული აზრი მაქვს დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ. თქვენი გაზეთის ერთერთ ნომერში ერთი ძალიან კომპეტენტური ფსიქოლოგის მიერ ითქვა ასეთი რამ: *„დღეს თავისუფლების აღკვეთა ქურდბაცაცას ყაჩაღად აქცევს და რომ პრობლემის ყველაზე ეფექტური და ჰუმანური გადაწყვეტა მოზარდთა შორის ძალადობის პროფილაქტიკაა, რომ მოზარდებთან მეტი კონტაქტია საჭირო, ვიდრე მათზე კონტროლის გაძლიერება“.*

რა ვქნათ მაშინ, როდესაც დანაშაული უკვე მოხდა, როგორ მოვიქცეთ?

მე, ერთი ჩვეულებრივი სკოლის ჩვეულებრივ ფსიქოლოგს, შეკითხვა მაქვს სამართალდამცავ ორგანოებთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, კანონმდებლებთან, მთელ საზოგადოებასთან, მოსწავლეთა მშობლებთან და თვით მოსწავლეებთან. ნუთუ მათ დასაშვებად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში, ერთ მოზარდს, თანაც გოგონას, თავს ესხმის სამი გოგონა, ამთგან ერთი ექვს ჭრილობას აყენებს დანით, დანარჩენი ორი დაჭრილ გოგონას აკავებს და იმ ადგილას ურტყამს, სადაც დანა მოხვდა. ამ ყველაფრის შემდგომ ეს გოგონა ათი ათასი ლარის სანაცვლოდ გარეთაა და თურმე იმასაც ვერ აცნობიერებს, რა დაეშავა.

თუკი ზემდგომი ორგანოები ამიხსნიან, რომ მსგავსი ქმედება, მსგავსი დანაშაული სასჯელს არ ექვემდებარება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დამნაშავე არასრულწლოვანია და თანაც გოგონა, მაშინ ვერ ვხსნი იმ ფაქტს, რატომაა დასჯილი არასრულწლოვანი გვანცა ყუფარაძე ასეთივე დანაშაულისათვის და რატომ იხდის სასჯელს უკვე მესამე წელია. ვერ ვხსნი იმ ფაქტებს, რატომ უნდა გაასამართლონ მოზარდი ერთი ბანანის ან შოკოლადის ფილის მოპარვისათვის, რატომ უნდა გავამკაცროთ სკოლაში მოსწავლეთა ქცევის წესები, რატომ უნდა ვატაროთ პერიოდულად სკოლაში ჩხრეკა ცივი იარაღის ამოსაღებად, რატომ უნდა დავსაჯოთ მოსწავლეები გაკვეთილზე ხუთი წუთის დაგვიანებისთვის, ან თუნდაც იმისთვის, რომ მოსწავლისათვის შეუფერებელი სამოსით დადიან? რაღა საჭიროა მაშინ სკოლის ფსიქოლოგი, დაცვა, საერთოდ მასწავლებელი?

რა პასუხი გავცე ჩემი სკოლის თორმეტი წლის მოსწავლეს, რომელსაც გაუჩნდა აზრი, რომ თავისუფლად შეუძლია დანით დაჭრას ვინც არ მოსწონს და მერე თავისი მეცნიერმუშაკი დედა, რომელსაც ფული არ აქვს, სახლს გაყიდის და ციხიდან გამოიყვანს.

რატომ უნდა გახდეს ნ.კ.-ს ქმედება მისაბაძი სხვა ბავშვებისათვის და რატომ უნდა შეუთვალოს ერთმა გოგონამ მეორეს: *„ფრთხილად იყავი, შენც მარიამის ბედი არ გაიზიაროო.“* რა პასუხი გავცე მარიამს, რომელიც გარეგნულად არ იმჩნევს არაფერს, მაგრამ შინაგანად ძალიან დათრგუნულია, ოთახში იკეტება და ტირის, შიშით სკოლაში წასვლა არ უნდა, ან მის დედას, რომელმაც, ფაქტობრივად, ოჯახის საქმე მიატოვა და დილიდან შვილს სკოლაში დარაჯობს, რადგანაც დაუცველად გრძნობს თავს და ხელახალი აგრესიის ეშინია.

ნუთუ ეს სამეული მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის არ უნდა დაისაჯოს, რომ არასრულწლოვან გოგონასთვის არ არის შესაფერისი პირობები ქალთა კოლონიაში, ან იმიტომ რომ ფულიანი ბიძები ჰყავთ?

ჩემი რჩევა, ზოგადად, დედებს, მამებს, ბიძებს და საერთოდ ოჯახის მეგობრებს: უპრიანი იქნება უფრო გონიერად მართონ თავიანთი ფინანსები და მხოლოდ მაშინ კი არ დახარჯონ, როდესაც დანაშაული მოხდება, არამედ დროზე მოახდინონ დანაშაულის პრევენცია და ეს თანხები ბავშვთა აღზრდას, ჯანსაღი მიზნებისა და ინტერესების ჩამოყალიბებას მოახმარონ.

აუცილებელია, სკოლას გვერდით დაუდგნენ მშობლები, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, ფსიქოლოგი ფსიქიატრისგან ვერ გაურჩევიათ და ძალიან აგრესიული ხდებიან, როდესაც საკუთარი შვილების მიმართ მეტი ყურადღებისა და თბილი დამოკიდებულებისაკენ მოვუწოდებთ.

რა ქნას სკოლამ? როგორ მოიქცეს იმ მოზარდებთან მიმართებაში, რომლებიც გზის გასაყართან დგანან და არ იციან საით წავიდნენ, მარჯვნივ თუ მარცხნივ? როგორ მოვიქცეთ მსგავსი დაუსჯელობის სინდრომის გამო, ხელი შევუწყოთ მათ მარცხნივ წასვლას თუ რაღაც გარკვეული მეთოდებით დავსაჯოთ დამნაშავე და ვაჩვენოთ მოზარდს, რა ქმედება როგორ და რა გზით ისჯება, რა შედეგი მოჰყვება ყოველივე ამას.

დიდი ინტერესითა და გულისყურით ველი გამოხმაურებას საზოგადოებისაგან და მიმაჩნია, რომ ეს მარტო სკოლისა და მშობლის პრობლემა არაა, რომ ეს მთლიანად იმ სოციუმის პრობლემაა, რომელშიც ბავშვი იმყოფება.

ნინო ლორთქიფანიძე
55-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი

ეროვნული სასწავლო გეგმა – შენიშვნები

ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის დანერგვა საქართველოს სკოლებში 2006-2007 სასწავლო წელს დაიწყო, განათლების რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ჩვენ არ ვაპირებთ საგანმანათლებლო სივრცეში მის როლზე დაწვრილებით საუბარს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ *„ამ სასწავლო გეგმას მასწავლებლების პროფესიული სტანდარტები, შესაბამისი სასერტიფიკაციო მოთხოვნები და აბიტურიენტებისთვის უმაღლეს სასწავლებლების გამოცდების პროგრამები ეფუძნება. სკოლების აკრედიტაციის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმიც სწორედ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების ხარისხიანი შესრულებაა. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე იქმნება ასევე მასწავლებლების მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები“* (ესგ, 2009 წ. გვ. შეს.-5). აღარაფერს ვიტყვით ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელობაზე ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში.

ნამდვილად აღნიშვნის ღირსია ის სამუშაო, რომელიც წლების განმავლობაში გასწია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა ბატონი სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით.

ამ წერილში გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ საკითხებს, რომლებიც საკამათო ან ჩვენთვის გაუგებარი გვგონია ეროვნული სასწავლო გეგმის 2009 წლის გამოცემაში.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ გამოცემის ფორმა (ვგულისხმობთ ესგ-ს აკინძვას) პრაქტიკულია სკოლის პედაგოგთათვის, რადგან თითოეულ საგნობრივ კათედრას შეუძლია საკუთრად იქონიოს გეგმის ის ნაწილი, რომელიც მას აინტერესებს. ორიგინალურად და ეკონომიურად იყო გადაწყვეტილი გასული სასწავლო წლისა და ახალი სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმების ერთად აკინძვის ვარიანტიც, თუმცა ვფიქრობთ, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის მთლიანად უნდა განახლდეს ესგ-ის სკოლებში დასარიგებელი ეგზემპლარები.

ახლა რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს.

პირველივე გვერდზე (შეს.-5) ვეცნობით საყურადღებო ცვლილებებს ახალ რედაქციაში. კერძოდ: *„სახელმძღვანელოს მოქმედების ვადა სკოლაში ხდება 5 წელი“.* წინა რედაქციის მიხედვით სახელმძღვანელოთი სარგებლობა სავალდებულო იყო 3 წლის მანძილზე. ეს ნორმა არ კრძალავდა სახელმძღვანელო გამოყენებული ყოფილიყო 5 წლის მანძილზეც. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, 2014 წელს ვასწავლო მოსწავლეს იმ სახელმძღვანელოთი, რომლითაც ვასწავლიდი 2009 წელს, მით უმეტეს, როდესაც ამ სახელმძღვანელოს მეხუთე ბავშვი იყენებს. თვით საბჭოური დროის სკოლაში სახელმძღვანელოს გამოყენება რეკომენდებული იყო მხოლოდ 4 წელიწადს. პირადად მე მიმაჩნია, რომ სკოლა და პედაგოგი აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს სახელმძღვანელოს შერჩევის საკითხში. თუ 2010 წელს გამოცა სახელმძღვანელო, რომელიც უმჯობესია 2009 წლის ანალოგზე, რატომ უნდა ვიყო იძულებული და რატომ უნდა ვაიძულო ბავშვიც ვისწავლოთ უარესი სახელმძღვანელოთი? ის, რომ მშობლებს უჭირთ სახელმძღვანელოების შეძენა, ჩვენი აზრით სხვა რიგის პრობლემაა და სხვა მექანიზმებით უნდა მოგვარდეს (მაგალითად, სკოლების მიზნობრივი სუბსიდირებით). ამასთან, ეს გადაწყვეტილება გამოიწვევს მოტივაციის დაკარგვას გამომცემლობებისათვის სახელმძღვანელოების გაუმჯობესების მიმართულებით. იქნებ აქ ის იგულისხმება, რომ სახელმძღვანელო შეიძლება ახალი იყოს, ოღონდ იმავე რადაქციისა და იმავე ავტორების მიერ გაუმჯობესებული? ამ შემთხვევაში უფრო გაუგებარია შერჩევის შეზღუდვა.

იმავე გვერდზე ვკითხულობთ: *„შეიცვალა საფეხურის ნიშნის გამოთვლის პროცედურები, რომელზეც დამოკიდებულია ატესტატები და მედლები“.* სანამ შეფასებაზე გადავიდოდეთ, გვინდა შევეხოთ მედლების გაცემას, რომელსაც თავისი დადებითი მხარეები უდაოდ აქვს. მიგვაჩნია, რომ სანამ საერთო ეროვნული შეფასება არ დამკვიდრდება საქართველოს საჯარო სკოლებში, რაიმე ტიპის ჯილდოების გაცემა მოსწავლეებზე მიზანშეუწონელია. ასე მაგალითად, თუ მავანი მოსწავლე ქ. ჭიათურის № 19 სკოლაში საფეხურის საერთო ნიშნად დაიმსახურებს „ცხრას“, იმავე მოსწავლემ ქ. წალკის №8 სკოლაში შეიძლება მიიღოს „რვა“ ან პირიქით. იგივე ეხება პროგრამას „ჩემი პირველი კომპიუტერი“. კარგი იქნება თუ ამ პროგრამისთვის საჭირო თანხებით დაჩქარდებოდა სკოლების ინტერნეტში ჩართვა, ანუ წახალისდებოდა არა ცალკეული მოსწავლე, მით უმეტეს, როცა არაობიექტურობის ალბათობა მაღალია, არამედ მთლიანად სკოლა.

რაც შეეხება შეფასებას.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ: *„...საფეხურის წარმატებით დამთავრებისთვის მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საერთო საფეხურის ნიშანი არანაკლებ 6,0-ისა (დამრგვალების შემდეგ)... საერთო საფეხურის ნიშანი, რომელიც მეტია 5,0-ზე ნაკლებია 6,0-ზე მრგვალდება 6,0-მდე“*(ესგ, გვ.: შეს.-14, შეს.-18). ჯერ ერთი, 5,1 არის 5 და არა 6. ამ ჩანაწერის გაკეთება შეიძლება შემდეგნაირად: *„საფეხურის წარმატებით დამთავრებისთვის მოსწავლის საერთო საფეხურის ნიშანი უნდა იყოს 5,0-ზე მაღალი.”* აგრეთვე, ვფიქრობთ, რომ ასეთი ნორმის შემოღება გამოიწვევს შეფასების გადასვლას 6 ბალიან სისტემაზე, რადგან ნიშანი “5” გადაიქცევა ძველ ორიანად, რომელიც იშვიათად (ან სულაც არ) დაიწერება საფეხურის საერთო ნიშნად. აღარაფერს ვამბობთ ხუთზე დაბალ ნიშნებზე.

წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: მოსწავლემ დაამთავრა საბაზო საფეხური და სამი წლის განმავლობაში მიიღო 30 წლიური ნიშანი. მათგან: 9 ნიშანი არის „7“, სამი ნიშანი - „8“, 8 ნიშანი - „4“ და 10 ნიშანი „3“. ამ შემთხვევაში მოსწავ-ლის საფეხურის ნიშანი იქნება 4,97 და იგი საბაზო საფეხურზე ვერ გადავა. ანუ, თუ მოსწავლე ქართულს სწავლობს „8“-ზე, მათემატიკას, ისტორიასა და უცხო ენას - „7“-ზე, მას უფლება არ ექნება სწავლა გააგრძელოს. მიგვაჩნია, რომ **საფეხურის წარმატებით დამთავრებისთვის მოსწავლეს უნდა ჰქონდეს „3“-ზე მაღალი საერთო საფეხურის ნიშანი, საერთო წლიური ნიშანი რომელიმე საგანში არ უნდა ჰქონდეს „1“, ნიშანი „2“ საგნის წლიურ ნიშნად არ უნდა ეწეროს სამ საგანზე მეტში და ნიშანი „3“ საგნის წლიურ ნიშნად არ უნდა ეწეროს ხუთ საგანზე მეტში (მთელ საფეხურზე).** შესაძლოა სკოლას მიეცეს უფლება დაადგინოს მისთვის მისაღები სხვა ნიშნული, ოღონდ არანაკლებ ესგ-ის მოთხოვნისა.

აქვე ყურადღება გვინდა მივაქციოთ ტრიმესტრული ნიშნის შემადგენელ ნაწილებს. ესგ-ში ვკითხულობთ:

მოსწავლეები შესაძლოა შეფასდეს შემდეგი კომპონენტების მიხედვით: ა) გაკვეთილზე ჩართულობა, ბ) საშინაო დავალება, გ) მიმდინარე საკლასო დავალებები, გ) შემაჯამებელი დავალებები (საკონტროლო/გამოცდა/ტესტირება და სხვ.), დ) პროექტები, ე) დამატებითი კომპონენტი, რომელიც საერთო შეფასების 10%-ია და რომელიც მოსწავლეების მიერ დგინდება (მაგ. ორგანიზებულობა, შემოქმედებითობა, ჯგუფში ეფექტური მუშაობა და სხვ.).

ჯერ ერთი, სასურველი იქნება, „და სხვ.“-ის მაგივრად, ჩაწერილი იყოს ის, რაც მის მიღმა იგულისხმება ან შეიძლება იგულისხმებოდეს. კომპონენტები კი შეიძლება დაყვანილ იქნეს 4-მდე, რომელიც უნივერსალური იქნება ყველა საჯარო სკოლისთვის და ყველა საგნისთვის: **1. საშინაო დავალებები (20%), 2. მიმდინარე საკლასო აქტივობები (30%), 3. შემაჯამებელი აქტივობები (40%) და 4. დამატებითი კომპონენტი (10%).** აქ არ არის „გაკვეთილზე ჩართულობა“ და „პროექტები“. ვფიქრობთ, რომ მოსწავლე თავისუფლად შეფასდება ჩართულია თუ არა გაკვეთილზე მეორე კომპონენტით (მიმდინარე საკლასო აქტივობები), ხოლო “პროექტებს” მივიჩნევთ სწავლების (სწავლის) ხერხად და მას შევაფასებთ პირველი სამი კომპონენტის საშუალებით. შეიძლება, ჩვენ მიერ შემოთავაზებული პროცენტული განაწილება საკამათოა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საჭირო განხილვის შემდეგ შემუშავებული უნდა იყოს საერთო მაჩვენებლები ყველა სკოლისთვის.

რაც შეეხება საერთო წლიურ ნიშანს. ესგ-ში (გვ. შეს. - 18) წერია: საერთო წლიური ნიშანი მრგვალდება შემდეგი პრინციპით: 0,5-დან 1,4-მდე = 1; ხოლო 1,5-დან 2,4-მდე = 2 და ა.შ. საინტერესოა, რა შემთხვევაში შეიძლება მოსწავლის წლიური ნიშანი იყოს „0,6“? შეიძლება მოსწავლემ საგნის წლიურ ნიშნად დაიმსახუროს „0“? ვფიქრობთ, საჭოროა ამის დაზუსტება.

მოსწავლეთა რაოდენობა:

ესგ-ში (გვ. შეს. - 8) ვკითხულობთ: *„რეკომენდებულია, რომ მოსწავლეების რაოდენობა გაკვეთილზე არ აღემატებოდეს 25-ს... მოსწავლეების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა კლასებში არის 30“.* ვფიქრობთ, რომ ამ ტექსტში ან პირველი ნაწილია ზედმეტი ან მეორე. ასევე, არაფერია ნათქვამი კლასში მოსწავლეთა მინიმალურ რაოდენობაზე. სოფლის სკოლის მე-7 კლასში 1 მოსწავლე რომ დარჩეს, სად უნდა ისწავლოს? ასე რომ, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, სასურველი იქნება ასგ-ში შემდეგი ჩანაწერის გაკეთება: *„კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არის 30 მოსწავლე, მინიმალური – 1.”*

აქვე საუბარია ე. წ. კლასკომპლეტების შექმნაზეც. ვკითხულობთ: *„...კლასკომპლექტების შექმნა მიზანშეწონილია მხოლოდ ორი ასაკობრივი ჯგუფის გაერთიანებით და ისიც იმ შემთხვევაში თუ ერთობლივად მოსწავლეთა რაოდენობა არ აჭარბებს 20-ს.”* მიგვაჩნია, რომ გაუგებარია: თუ I და III კლასებში არის 14 მოსწავლე, სკოლა ვალდებულია, გახსნას კლასკომპლექტი? თუ – შეუძლია, გახსნას?

ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ გაზეთი „ახალი განათლება“ გახსნის რუბრიკას ეროვნული სასწავლო გეგმის შესახებ. ჩვენც ჩვენის მხრივ სიამოვნებით გავიზიარებთ მოსაზრებებს ამ და სხვა საკითხებზე, მისამართზე:

aiazma@yahoo.com

გიორგი ჭაუჭიძე
წალკის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის
უფროსი სპეციალისტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

განცხადება

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №191 დადგენილებით „2009-2010 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს №149 დადგენილების“ მეშვიდე მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „დ1“ ქვეპუნქტი, რომლის მიზანია სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო გრანტის ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით გადანაწილების შედეგად დარჩენილი თანხის გადანაწილებისას იმ სტუდენტთა გათვალისწინება, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (შემდგომში – ოკუპირებული ტერიტორია) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ან რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე მე-10 და მე-11 კლასებში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, აღნიშნული ცვლილება შეეხებათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, მათ შორის აჟარის მუნიციპალიტეტის, ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია), მათ შორის, ქურთას, ერედვის და ახალგორის მუნიციპალიტეტების, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის შესაბამისი კატეგორიის სტუდენტებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის
დარეკეთ: 43 88 53
ან სამინისტროს ვებგვერდზე www.mes.gov.ge იხილეთ:
საქართველოს მთავრობის დადგენილება №149, 2009 წლის 14 აგვისტო, ქ. თბილისი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 07 სექტემბრის №736 ბრძანება.

განცხადება

დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფელ შატილის სკოლა-პანსიონს ესაჭიროება ინგლისური ენის მასწავლებელი. მინიმალური ხელფასია 550 ლარი. მასწავლებელი სკოლაში არსებულ პანსიონში უზრუნველყოფილი იქნება ბინით, კვებით, გათბობით. საკუთარი ჰესის წყალობით, სოფელს აქვს მუდმივი ელექტროენერგია. ნოემბრიდან მაისამდე, დიდთოვლობის გამო, დათვიჯვრის უღელტეხილი იკეტება, თუმცა, სავარაუდოდ, წლეულს, თვეში ერთხელ, ვერტმფრენი იფრენს. მასწავლებლები მისი მომსახურებით უფასოდ ისარგებლებენ. სოფელში მობილური ტელეფონი არ იჭერს, მაგრამ სკოლაში არის ინტერნეტი და მასწავლებლებს ოჯახთან დაკავშირების შესაძლებლობა ექნებათ.

მსურველები გამოგვეხმაურონ ნომერზე 899 957-454

ყურადღება!

ხუთი-შვიდი წლის ბავშვებისთვის იხსნება გერმანული ენის კურსი „შინ Frau-სთან.“

პედაგოგი: **ხათუნა კოპალეიშვილი.**

პროგრამა: ზეპირმეტყველება, მათ შორის საბავშვო ლექსები, სიმღერები, გამოცანები, თამაშები და ა. შ (ე. წ. Tante-ს მეთოდით).

გაკვეთილი ტარდება კვირაში ოთხჯერ

მისამართი: აღმაშენებლის გამზ. 176 (გერმანიის საელჩოს გვერდით).

მეცადინეობის ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.

დაინტერესებულ მშობლებს გთხოვთ დარეკოთ: 899 51 18 18

21 ნოემბერი 2009

VI კლასელთა XII ტესტირება-ტურნირი პრიზებით

CHAGLAR Exam Prize

გამარჯვებულ მოსწავლეთა ჯილდოები:

1 ლეპტოპი

2 ნეთბუქი

2 ციფრული ფოტოაპარატი

2 ველოსიპედი


3 MP4

რაიონის მიხედვით პირველ ადგილზე გასულ მოსწავლეებს გადაეცემათ მობილური ტელეფონები

გუნდური შედეგების მიხედვით სამი სკოლა დაჯილდოვდება პროექტორით

ტურნირის ყველაზე წარმატებული მოსწავლეები, სურვილის შემთხვევაში, ჩაირიცხებიან:

თბილისის დემირელის სახელობის კერძო კოლეჯში.
ბათუმის რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმში.
ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახ. ლიცეუმში.
რუსთავის რუსთაველის სახ. სკოლა-ლიცეუმში.
მათთვის სწავლა და პანსიონში ცხოვრება უფასოა.

ტურნირში მონაწილეობის მსურველნო, გაიარეთ რეგისტრაცია თქვენივე სკოლის დირექციაში, რომელმაც 2009 წლის 16 ნოემბრამდე შესაბამისი განაცხადი უნდა წარადგინოს ტესტირება – ტურნირის ჩატარების ერთ-ერთ ცენტრში.

ტესტირება-ტურნირის ცენტრები:

1. **დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი**
   თბილისი, გრიშაშვილის ქ. №51 ტელ.: 75-44-94, 75-24-58;
2. **სკოლა-ლიცეუმი „სხივი“ თბილისი,**
   დიდი დიღომი, მისის დასახლება, ნაკვეთი 368
   ტელ. 59 67 01; 59 67 02; 59 67 03.
3. **რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმი**
   ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №19 ტელ.: 7-64-09
4. **ნიკო ნიკოლაძის სახ. ლიცეუმი**
   ქუთაისი, ი. აბაშიძის გამზ.№22ა, ტელ.: (231) 7 05 28;
5. **რუსთავის რუსთაველის სახ. სკოლა-ლიცეუმი**
   რუსთავის გზატკეცილის 22-ე კმ. ტელ. 893 69 81 23.
6. **მარნეულის სასწავლო ცენტრი**
   მარნეული, ჩოლოყაშვილის ქუჩა, 8257 22420

ორგანიზატორი –
„ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებები

გისურვებთ წარმატებებს!

„...რა დამრჩება მე – პოეზია თუ ბიოგრაფია? დარჩება ორივე, თუ არც ერთი არ იქნება გამართლებული?“

ნიკოლო მიწიშვილი

ნიკოლო მიწიშვილის არქივი „ჯვარისული პეიზაჟებით“

29 ოქტომბერს ლიტერატურის მუზეუმთან არსებულ გალერეა „ჰობში“ „ცისფერყანწელი“ პოეტის, მწერლის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის **ნიკოლო მიწიშვილის** პირადი არქივის გამოფენა მოეწყო. რეპრესირებული მწერალი, ხალხის მტრის ბრალდებით დააპატიმრეს და 1937 წლის 13 ივლისს დახვრიტეს.

ნიკოლო მიწიშვილი 1896 წლის 8 ნოემბერს იმერეთის სოფელ ჯვარისაში დაიბადა, მისი სახელი და შემოქმედება დიდი ხნის მანძილზე ტაბუდადებული იყო, რის გამოც, მას როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, დღემდე ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი. მისი შემოქმედებიდან 1960-70-იან წლებში მხოლოდ ცენზურის საფუძველზე შერჩეული ნაწარმოებები იბეჭდებოდა. ნიკოლო მიწიშვილი, ნიკოლოზ იოსების ძე სირბილაძის ფსევდონიმია. მისი პირველი ლექსები ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა. იყო მუშათა და ჯარისკაცთა გაზეთის „გოლოს სოლდატას“ რედაქტორი. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გამოსცემდა გაზეთ „ფიგაროს“. 1922-25 წლებში ცხოვრობდა საფრანგეთში. აქტიურად მონაწილეობდა გაზეთ „ახალი საქართველოს“ დაარსებაში, პარიზში ჩამოაყალიბა „ქართველ ხელოვანთა კავშირი“. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იყო ლიტფონდის დირექტორი. რედაქტორობდა ჟურნალ „ქართულ მწერლობას“, ხელმძღვანელობდა სახელგამს. ცხოვრების ბოლო წლებში იყო ჟურნალ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი, 1918 წლიდან „ცისფერყანწელთა“ ორდენის აქტიური წევრი... ნიკოლო მიწიშვილის დაუცხრომელ ენერგიასა და განსწავლულობას განცვიფრებაში მოჰყავდა თანამედროვენი. მიხეილ ჯავახიშვილს არაერთხელ აღუნიშნავს: ,,*საიდან აქვს ამ ტანმორჩილ კაცს ამდენი ენერგია, გამოცდილება და ცოდნა, ჩემთვის დღესაც გამოუცნობია*“. ასეთი იყო ნიკოლო, რომლის პოეზია და ბიოგრაფია მრავალი წლის შემდეგაც საინტერესო და აქტუალურია.

გალერეა „ჰობიში“ გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნიკოლო მიწიშვილის პირადი არქივი, რომელიც რეპრესიების წლებს სასწაულებრივად გადაურჩა. დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა ენახა: მწერლის საოჯახო ალბომი, ნიკოლო მიწიშვილისა და მისი მეუღლის, თამარ ბაგრატიონის ფოტოსურათები, მწერლის ქალიშვილი მარინა, მამა-შვილის– ილამაზ და ნიკოლო მიწიშვილის ფოტო, მიწიშვილების ოჯახური ფოტო, ნიკოლო მიწიშვილის მშობლები: იოსებ სირბილაძე, დედა –ანასტასია გოგლიჩიძე და დები, კოლეგებთან ერთად გადაღებული ფოტოები.

ახალგაზრდობის წლების ამსახველი, მეგობრებთან ერთად გადაღებული რამდენიმე ფოტო (სავარაუდოდ, ფოტოები გადაღებულია ქუთაისში); ნიკოლო მიწიშვილის ბიუსტის ფოტოვერსია, (ბიუსტი შესრულებულია პარიზში, 1923-25 წლებში, ავტორი **რუსუდან მდივანი**); პარიზში გადაღებული ფოტოები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო, „ქართულ მწერლობაში“ დაბეჭდილი ნიკოლო მიწიშვილის წიგნები: „ფიქრები საქართველოზე“, „თებერვალი,“ „წმინდანიანი“, „ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“, „სამარადისო ზღაპარი“; პოემები, აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემული „თებერვალი“; ტიციან ტაბიძის, ნიკოლო მიწიშვილისადმი მიწერილი ღია ბარათი ქობულეთიდან 1927 წელს; დავით კლდიაშვილის იუბილეზე გადაღებული ფოტო, მეგობრული შარჟი – ნიკოლო მიწიშვილის ჯვრისწერა სიონის ტაძარში; ღია ბარათი ცნობილი რუსი მწერლის, ოლგა ფორშის სურათით; მწერალთა სახლის ბაღში გადაღებული ფოტოები. ვასილ კროტკოვის (ცნობილი მხატვარი, ქუთაისის რეალური სასწავლებლის ხატვის მასწავლებელი) მიერ ფანქრით შესრულებული მიხეილ ჯავახიშვილის პორტრეტი, უცნობი ავტორის მიერ შესრულებული ნიკოლო მიწიშვილის პორტრეტი (1934-37წლები); ოფიციალური დოკუმენტები, მწერლის მხოლოდ ორი ხელნაწერი, ჩხრეკის აქტი და სხვ. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო: ბოლო პერიოდში, გამომცემლობების – „არტანუჯი“ და „ინტელექტი“ – მიერ გამოცემული ნიკოლო მიწიშვილის ხუთი წიგნი, რომლებმაც თანამედროვე მკითხველს ფართო მასშტაბით გააცნო მწერალი.

გამოფენა ორი ნაწილისგან შედგებოდა: ნიკოლო მიწიშვილის პირადი არქივი და მწერლის მშობლიური სოფლის, ჯვარისის პეიზაჟების ფოტო ვერსია. გამოფენაზე ილუსტრაციის სახით წარმოდგენილი „ჯვარისული პეიზაჟები“ ბუბა კუდავას მიერ, თანამედროვე პერიოდშია გადაღებული. ფოტოებს თან ერთვოდა მინაწერები ნიკოლო მიწიშვილის ნაწარმოებებიდან.

უკვე 3 წელია, მწერლის მშობლიური სოფლის ჯვარისის საჯარო სკოლა ნიკოლო მიწიშვილის სახელს ატარებს, სულ მალე ჯვარისის სკოლაში მწერლის სახელობის კაბინეტი გაიხსნება. „გალერეა“ ჰობში წარმოდგენილი ექსპოზიცია სოფელ ჯვარისის საჯარო სკოლაში, ნიკოლო მიწიშვილის კაბინეტში დაიდებს ბინას.

***ილამაზ მიწიშვილი**, ნიკოლო მიწიშვილის შვილი: მამა წარმოშობით იმერეთის ულამაზეს სოფელ ჯვარისიდან იყო. მისი სახელი წლების მანძილზე ტაბუდადებული იყო. რეაბილიტაციის შემდეგ, ნელ-ნელა იზრდებოდა საზოგადოების ინტერესი. ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედებისა და ღვაწლის მიმართ. 80-იან წლებში სოფელ ჯვარისის მკვიდრთ გაუჩნდათ სურვილი (ინიციატორები – ჯვარისის სკოლის ყოფილი დირექტორი **იური ჭარბაძე** და ბატონი **გივი გეწაძე**). სოფელ ჯვარისის სკოლისთვის მიენიჭებინათ ნიკოლო მიწიშვილის სახელი. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაშინ ეს სურვილი არ განხორციელდა, თუმცა ამით დასაბამი მიეცა საზოგადოებაში ნიკოლო მიწიშვილის პიროვნებისადმი ინტერესის გაღვიძებას.*

2006 წელს, მამას დაბადებიდან 110 წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობებმა – „არტანუჯი“ და „ინტელექტი“– განიზრახეს მკითხველისათვის წარმოეჩინათ ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედება. გამოიცა მწერლის ხუთი წიგნი: „ფიქრები საქართველოზე“ „სამარადისო ზღაპარი“, „წმინდანიანი“, „თებერვალი“, „ქრონიკები რევოლუციის დროიდან“. რასაკვირველია, ჩემთვის ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედებაზე საუბარი ძალიან ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ მრავალი წლის შემდეგ ნიკოლო მიწიშვილის მიმართ ქართველმა საზოგადოებამ გარკვეული ინტერესი გამოიჩინა. შეიძლება ითქვას, რომ თუ 1956 წელს მოხდა ნიკოლო მიწიშვილის ფორმალური, იურიდიული რეაბილიტაცია, მისი წიგნების გამოცემით მოხდა ნიკოლო მიწიშვილის, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რეალური რეაბილიტაცია. სამი წლის წინ, სოფელ ჯვარისის საზოგადოების ინიციატივით, ჯვარისის საჯარო სკოლას ნიკოლო მიწიშვილის სახელი მიენიჭა, შეიქმნა მწერლის კაბინეტი. სამწუხაროდ, მამას პირადი ნივთებიდან არაფერი შემოგვრჩა, იმ ავბედით წლებში ყველაფერი წაიღეს და გაანადგურეს... მაშინ არავის აინტერესებდა ნიკოლო მიწიშვილის ნაწერები. გამოფენაზე შეგიძლიათ ნახოთ ჩხრეკის ოქმი, რომელიც მამას დაპატიმრების დღეს შეადგინეს, იქ არის ერთი ასეთი საინტერესო ჩანაწერი: „სხვადასხვა მიმოწერა, 24 საქაღალდე“... ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა იყო იმ საქაღალდეებში. წლების მანძილზე ძალიან ბევრი ვეცადე მიმეკვლია ამ საქაღალდეებისთვის, მაგრამ ამაოდ. მისი პირადი არქივი მხოლოდ და მხოლოდ ფოტომასალით, საბუთებით, რამდენიმე ხელნაწერით, ნაწარმოებებით შემოიფარგლება. გამოფენაზე, ძირითადად, წარმოდგენილია 37 წლამდე გადაღებული ფოტოები, ბევრი მათგანი საზოგადოებისთვის უცნობია.

გამოფენის მეორე ნაწილში წარმოდგენილი სოფელ ჯვარისის პეიზაჟების ამსახველი ფოტოსურათები, რომელიც გადაღებულია ბუბა კუდავას მიერ, ჩემი აზრით, გარკვეულწილად, გამოძახილია ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედებისა, რაც ნათლად ჩანს იმ ციტატებში (ამონარიდები ნიკოლო მიწიშვილის ნაწარმოებებიდან), რომელიც სურათებს აქვს წამძღვარებული. დღევანდელი გამოფენით, მიზანშეწონილად ჩავთვალე, მამის პატივსაცემად, საზოგადოებისთვის მეჩვენებინა ის სამუზეუმო მასალა, რომელიც საბოლოოდ ჯვარისის სკოლის კედლებში დაიდებს ბინას. სკოლაში ასეთი კაბინეტის მოწყობა მოსწავლეებს კიდევ უფრო დააფიქრებს მწერალზე და მის შემოქმედებაზე, სამშობლოსადმი სიყვარულს გაუღვივებს, სხვა კუთხით დაანახებს სოფელს, სახლს, შუკას... სამწუხაროდ, მშობლიურ სოფელ ჯვარისაში მამისეული სახლი აღარ არსებობს, ეს ჩემთვის დიდი ტკივილია, თითქოს მოწყვეტილი ვარ წინაპართა ფესვებს.

გივი შაჰნაზარი, მწერალი: *ნიკოლო მიწიშვილის შესახებ უსასრულოდ შეიძლება საუბარი. ის იყო ბრწყინვალე გამომცემელი და წიგნის გამოცემის ტექნიკის იშვიათი მცოდნე. ზრუნავდა იმისთვის, რომ ეროვნული საგამომცემლო საქმე აღორძინებულიყო. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ქართველი მწერლების, მეცნიერების, მხატვრების სახელოვანი თაობა. მისი ცხოვრება ბედნიერებასთან წილნაყარი არ ყოფილა. როგორც ამ ქვეყნის შვილს ძალიან სტკიოდა საქართველოს ბედი. როცა რეაბილიტაციის პერიოდი დაიწყო ნიკოლო მიწიშვილის ერთ-ერთი წიგნის გამომცემელი ვიყავი, ჩუმჩუმად ვეცნობოდით ყველა რეპრესირებულის შემოქმედებას, ვინახავდით და ვუფრთხილდებოდით მათ ნაწარმოებებს. ნიკოლოს ბიოგრაფია ძალზე სახეცვალებადია. მას ჰქონდა შესანიშნავი ორგანიზების ნიჭი, იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული. მისი ცხოვრება, ისე როგორც ყველა რეპრესირებული ადამიანის, ძალიან მძიმე იყო. დადგა დრო, როცა შეიძლება გაიხსნა, თავისუფლად ისაუბრო იმ ავბედით წლებზე, რომლებმაც, ვინ მოთვლის, რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. როცა „ფიქრები საქართველოზე“ დაიწერა, ამან იმდენად გააღიზიანა (კარგი გაგებით) საზოგადოება, რომ დაიწყო ერთმანეთთან დაპირისპირებები, ეს არ იყო პირადული დაპირისპირება თუნდაც, გრიგოლ რობაქიძისა და ნიკოლო მიწიშვილისა, ეს იყო ბრძოლა საქართველოსთვის. იმდროინდელმა საზოგადოებამ მშვენივრად იცოდა, რომ ნიკოლო მიწიშვილს ის უკეთურიც კი რასაც ამბობდა ყველაზე მეტად სტკიოდა, მას სურდა მიძინებული ვითარება ოკიანურ ღელვაში გადაეტანა. ამის ნათელი მაგალითია, რომ ნიკოლო მიწიშვილი და მისი შემოქმედება, მრავალი წლის შემდეგაც, ყველა თაობისთვის მეტად საინტერესო და აქტუალურია.*

ნინო ზაალიშვილი, მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე: *საქართველოში, 20-იანი წლების ბოლოს, აქტიურად დაიწყო ილუსტრირებული საბავშვო წიგნების გამოცემა, რომელშიც ჩაერთვნენ როგორც ცნობილი მხატვრები, ასევე თბილისის სამხატვრო აკადემიის ახალკურსდამთავრებულები, გაკეთდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემა, რომლებიც ქართული გრაფიკის ოქროს ფონდშია დაცული. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ილუსტრაციების ავტორი ცნობილი მხატვარი აპოლონ ქუთათელაძეა. მისი სახელი კარგადაა ცნობილი, როგორც აკადემიის რექტორის, ცნობილი ფერმწერის, პედაგოგის, მაგრამ მისი გრაფიკული შემოქმედება, სამწუხაროდ, დავიწყებულია. როდესაც მზადდებოდა აპოლონ ქუთათელაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, მომეცა შესაძლებლობა, პირველად მენახა მის მიერ ილუსტრირებული ნიკოლო მიწიშვილის წიგნი „სკოლა“, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. დღევანდელ გამოფენაზე მოვიტანე ამ წიგნის ორიგინალები, რომელიც აპოლონ ქუთათელაძის შვილის, ტარიელ ქუთათელაძის ოჯახში ინახება. წიგნი თავისი კომპოზიციით, ილუსტრაციების ხარისხით, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია. წიგნის იდეოლოგია სავსებით შეეფერება იმ დროს, ამავდროულად, არანაკლებია ვიდრე 20-30-იანი წლების სახელგანთქმული რუსული საბავშვო გრაფიკა. წიგნის შინაარსი ილუსტრაციების მიხედვით არის ხელმისაწვდომი. მასში ასახულია რევოლუციამდელი ბავშვი გიმნაზიაში, სადაც იყო სოციალური დაყოფა, ჩაგვრა.... და „ბედნიერი“ საბჭოთა ბავშვები, რომლებიც ხალისით შეჰყურებენ მომავალს. როგორც ბატონმა ტარიელმა მითხრა, წიგნის ილუსტრირების დროს, ზოგიერთი ბავშვის ხატვისას, მამა მის ჰაბიტუსს იყენებდა. საერთოდ, მიწიშვილების ოჯახი მხატვრების ყურადღებას იპყრობდა. აღსანიშნავია, პარიზში მცხოვრები ქართველი მხატვრის, მოქანდაკის, **რუსუდან მდივანის** მიერ შესრულებული ნიკოლო მიწიშვილის ბიუსტი, ნიკოლო მიწიშვილის მშვენიერი მეუღლის, თამარ ბაგრატიონის პორტრეტი, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილმა (შემდგომში რეპრესირებული) შექმნა. ამ ნახატით, თავის დროზე, ღია ბარათიც კი იყო გამოსული, როგორც ნიმუში ქართული მშვენიერებისა. ასევე, **გიგო გაბაშვილის** და **შალვა მაყაშვილის** მიერ შექმნილი პორტრეტები. ამბობენ, ნიკოლო მიწიშვილის პორტრეტი შექმნა რუსმა მხატვარმა **ვერა ლებედევამ**. აღსანიშნავია, რომ ნიკოლო მიწიშვილის ბევრ ნაწარმოებს, რომელიც იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, ხშირად თან ახლდა ილუსტრაციები (ზოგი ავტორი უცნობია). ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედებით ბევრი მხატვარი იყო დაინტერესებული. რაც შეეხება წიგნს „სკოლა“ კარგი იქნება თუ ეს ნაწარმოები ხელმეორედ გამოიცემა. ეს კიდევ ერთი საჩუქარი იქნება ქართველი საზოგადოებისთვის, ნიკოლო მიწიშვილის და აპოლონ ქუთათელაძის სახელის უკვდავსაყოფად.*

მაკა ყიფშიანი

ჯვარისული პეიზაჟები

წიგნის პრეზენტაცია



30 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა. სახელმძღვანელო 2009 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა" გამოსცა, ავტორია ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ბელა წიფურია**. წიგნი განკუთვნილია საქართველოს სკოლების X კლასისთვის, რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ და წელს, სხვა რეკომენდებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, უკვე შევიდა საქართველოს სკოლებში.

პრეზენტაცია ჩატარდა სამეცნიერო სემინარის ფორმატში, შედარებითი ლიტერატურის საღამოების მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის ფარგლებში. სემინარზე ბელა წიფურიამ კოლეგებს წარუდგინა კონცეფცია, რომლითაც შეიქმნა ქართული ლიტერატურის ეს სახელმძღვანელო და ნაიკითხა მოხსენება – „ქართული მწერლობა, კოლონიური/პოსტკოლონიური რეალობა და ნაციონალური იდენტობა".

მოხსენებაში განხილული იყო, თუ როგორ გამოიკვეთა ქართული ლიტერატურის ბოლო ორსაუკუნოვან პერიოდში, კოლონიურ სინამდვილეში ქართული ლიტერატურის ნაციონალური მისია, როგორი თანმიმდევრობით განვითარდა კოლონიურ ფონზე ქართული მწერლობის და, შესაბამისად, მთელი ქართული კულტურის სივრცეში ნაციონალური იდენტიფიკაციის პროცესი და როგორ ჩამოყალიბდა, სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში, ქართული იდენტობა, როგორც კულტურის მიერ მხარდაჭერილი მოვლენა. მოხსენების ავტორი შეეხო იმასაც, თუ რამდენად ატარებს დღევანდელი ქართული კულტურა კოლონიურ გამოცდილებას, რა ამოცანების წინაშე დგას უკანასკნელ ათწლეულებში, პოსტკოლონიურ პერიოდში ქართული მწერლობა.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ნაციონალური მიმართულება ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ერთ ძირითად ხაზს ქმნის, რომელიც გადაიკვეთება საქართველოში დასავლური ლიტერატურული მიმდინარეობის ადაპტაციის ხაზთან – რომანტიზმიდან მოდერნიზმამდე და პოსტმოდერნიზმამდე. ამ უკანასკნელ მიმართულებას, კულტურული იდენტობის საკითხებს, ისევე, როგორც პიროვნული იდენტობის თემის დამუშავებას, საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოთა ციკლის შემდეგი წიგნები – XI და XII კლასის სახელმძღვანელოები მიეძღვნება, რომლებიც, შესაბამისად, 2010 და 2011 წლებში გამოვა. კულტურული და პიროვნული იდენტობის სპექტრში იქნება წარმოჩენილი ძველი, ახალი და უახლესი მწერლობის ნიმუშები. სახელმძღვანელოები ქართული მწერლობის ყველაზე მნიშვნელოვან და აღიარებულ ტექსტებს აცნობს მოსწავლეებს, რათა მათი მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური განვითარების პროცესი გამთლიანდეს საქართველოს ერთიან კულტურულ-მსოფლმხედველობრივ სივრცეში. სახელმძღვანელოები მიზნად ისახავს უმნიშვნელოვანესი ქართული ტექსტების ჩვენებას შესაბამის კულტურულ და ნაციონალურ კონტექსტებში, მათ გაანალიზებას თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობითი მიდგომების მეშვეობით.

X კლასის სახელმძღვანელო მთლიანად ეძღვნება ნაციონალური იდენტობის თემას, ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით არის შედგენილი და ქართული ლიტერატურის შესაბამის მიმართულებას წარმოაჩენს. წიგნის კონცეფცია ქართული მწერლობის ნაციონალური და საზოგადოებრივი მისიის, კოლონიურ სინამდვილესთან დაპირისპირების და ქართული ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებისა და გაძლიერების ფუნქციის ჩვენებას ითვალისწინებს. ყველაზე ცნობილი ნაწარმოებები, რომელთაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს კოლონიურ საქართველოში ქართული ნაციონალური თავისთავადობის შენარჩუნების საქმეში, წიგნში ერთად არის თავმოყრილი. სახელმძღვანელოს ავტორი მოსწავლეებს სთავაზობს მათ გააზრებას – წიგნში წარმოდგენილი შეფასებების მეშვეობითაც და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი ანალიტიკური საქმიანობის გზით, რაშიც მოსწავლეებს ტექსტებისთვის თანდართული კითხვებისა და რეკომენდაციების ბლოკი დაეხმარება. მასწავლებლებისადმი ავტორის ერთ-ერთი რჩევაა, საშუალო საფეხურზე საკლასო მუშაობა, უწინარესად, ჯგუფურ დისკუსიებს და მოსწავლეთა მიერ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად დამუშავებული თემების პრეზენტაციებს დაუთმონ. დისკუსიის საჭირო მიმართულებით წარმართვას მასწავლებელი და მოსწავლეები სწორედ ტექსტებისთვის დართული ანალიტიკური აპარატის გამოყენებით შეძლებენ.

სახელმღვანელო ექვს თავად არის დაყოფილი და XIX-XX საუკუნეების საქართველოში ეროვნული და საზოგადოებრივი პრობლემების წარმოჩენის, კოლონიურ ვითარებისადმი კულტურული – ცნობიერი და ესთეტიკური წინააღმდეგობის სხვადასხვა ეტაპებს გვიჩვენებს. ქართველი რომანტიკოსების, სამოციანელების, ქართველ მოდერნისტთა თაობის, XX საუკუნის მეორე ნახევრის ავტორების ნაწარმოებებს მოსწავლეები ნაციონალური და, ასევე, საკუთრივ მხატვრულ-ესთეტიკური რაკურსით განიხილავენ. წიგნი შესაძლებლობას იძლევა, თითოეული ტექსტის სწავლება შესაბამის კონტექსტში მოხდეს და, მეორე მხრივ, ტექსტის ესთეტიკური ბუნებაც იქნას აღქმული, რაშიც მოსწავლეებს ლიტერატურისმცოდნეობითი საკითხების ბლოკი დაეხმარება. სახელმძღვანელოთი მუშაობით, ტექსტებისა და ლიტერატურული პროცესების ანალიზის, მათზე დაფიქრების გზით მოსწავლეები შეძლებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ლიტერატურული ცოდნის მიღებას, ანალიტიკური უნარების გამომუშავებას, ქართულ მწერლობაში ნათლად გამოხატული ნაციონალური და მოქალაქეობრივი გზავნილების გაცნობიერებას.

მოსწავლე შემოქმედი

სიძულვილით დახასიათებული საქართველო და ჩემი არგუმენტები მის წინააღმდეგ

ჯემალ ქარჩხაძის „რაჰათ-ლუხუმის" მიხედვით

ამ დიდებული მწერლის ნაწარმოებებს როდესაც ვკითხულობ, მებადება აზრი, რომ წარსულის ნაკვალევი მისთვის წარუშლელი, მნიშვნელოვანი და უაღრესად საამაყოა. ცდილობს, ასეთივე გრძნობა აღუძრას მკითხველსაც. „იგიც" ხომ კაცობრიობის დასაბამს გვაუწყებს, იმას, თუ როგორ ჩნდება ხელოვნების პირველი ნიმუში, განსხვავებულობა ყველასგან და, რაც მთავარია, სიყვარულის გამოვლინება (და არა დაბადება, რამეთუ სიყვარული ყველა ადამიანში ბუდობს, მთავარია, მისი გაღვივება, აღმოცენება და განვითარება...). ჩვენი წარსული ხომ ფუძეა აწმყოსა და მომავლისა. ამიტომაც, ჩემი აზრით, მწერალმა მიზნად დაისახა მოთხრობა „რაჰათ-ლუხუმით" შეეხსენებინა ქართველებისთვის, რომ წარსული (საამაყოა ის თუ პირიქით) თითოეული ქართველის პირადი წარსულია. წინაპრების ავ-კარგი საქმეების ცოდნა ჩვენი ვალია, რათა შევძლოთ, ღალატისა და ერთგულების, სიყვარულისა და სიძულვილის ერთმანეთისგან გარჩევა. ჩვენი ყოველი ნაბიჯი ხომ ოდესღაც, თუნდაც საუკუნეების შემდეგ, შთამომავლობას ეცოდინება და ჩვენი არასწორი საქციელიც მათ ავნებს....

მოხუცი სულეიმანი სტამბოლის გარეუბანში რაჰათ-ლუხუმს ყიდის. მას მიაჩნია, რომ უსამართლოდაა დასჯილი. ის ხომ თურმე სახელმწიფო საქმეებს უნდა წყვეტდეს და ისინი, რომელთაც რაჰათ-ლუხუმის გაყიდვაშიც არ ვარგიან, სასახლეში სახელმწიფო საქმეებს მის ნაცვლად აგვარებენ. აქ იკვეთება ადამიანის ერთ-ერთი უდიდესი ცოდვა – ამპარტავნება. ამას ემატება მეორეც – სიძულვილი. თავისი მიზნების შეუსრულებლობას სულეიმანი ქართველთ აბრალებს. ამადაც მოთქვამს და ალაჰს „გურჯების" ამოწყვეტას ეხვეწება: *„ო, ბოროტებისა და უკეთურობის აკვანო! ცეცხლის ენები გადაბუგავს შენს სამყოფელს!"* – მისი სიტყვებით უცხო მოგზაური ინტერესდება, რომელიც რაჰათ-ლუხუმს ყიდულობს, რათა მისგან საინტერესო ამბავი მოისმინოს. სულეიმანის ნაქები რაჰათ-ლუხუმი მოგზაურისთვის ყველაზე უგემური აღმოჩნდა და იძულებით მიირთმევს, რათა ამბავი მოისმინოს. ცხოვრებაშიც ასეა: ცნობისმოყვარეობა ხშირად აჭარბებს სხვა სურვილს. ამ მიზნით შეპყრობილნი, ვინ იცის, რას არ ჩავდივართ ხოლმე! მებადება კითხვა: რატომ ჩერდება მოხუცი თხრობის ყველაზე საინტერესო ადგილას: ნუთუ იმიტომ, რომ რაჰათ-ლუხუმის ყიდვა აიძულოს ვაჭარს? თუმცა კი გაიძახის: – სიცოცხლე არად მიღირს მას მერე, რაც ჩემი აღზრდილის, ომან-ფაშას, საზარელი სიკვდილი ვიხილეო. – დააკვირდით, ვაჭრის მიერ მიცემულ ფულს როგორ ყურადღებით ათვალიერებს და მხოლოდ მაშინ განაგრძობს საუბარს, როცა მიხვდება, მონეტა ყალბი არ არისო. მეორე კითხვა კი ასეთია: სარწმუნოა კი მოხუცის მოყოლილი ამბავი? თუმცა ისტორიულ ფაქტებს თუ გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ყველაფერი მართალია. დიახ, მწერლის ფანტაზია კი შლის ამ ეპიზოდში ფრთებს, მაგრამ ყველაფერი ისე დამაჯერებელია, რომ სხვანაირად ვერც წარმომიდგენია და მწამს, რომ სწორედ ასე განვითარდა მოვლენები.

ალი-მირზას მიერ დახასიათებული ქართველები ჩემთვის (და ყველა ქართველისთვის) მეტად მძიმე მოსასმენია. როდესაც შენ ერს, სისხლსა და ხორცს მიწასთან ასწორებს ვინმე, მაშინვე გულში ტკივილი ისადგურებს. იმ წუთას გებადება კითხვა: ვიმსახურებთ კი ასეთ შეფასებას? *„ბუნებით ყველა გურჯი მოღალატეა... შურიანები არიან... ერთი გურჯის გულში ორი სიყვარული ვერ ეტევა. გურჯების უგუნურობა ყველაზე უკეთ მათ ამპარტავნობაში ჩანს. სხვის ლაშქარში უფრო მონდომებით იბრძვიან, ვინაიდან უცხოთა წინაშე თავის გამოჩენა უყვართ"* – ამბობს სიძულვილით ალი-მირზა, რომელსაც სვიმონ-ხანზე გაბრაზებამ ქართველთა მოდგმა სამუდამოდ შეაძულა. სწორედ სიძულვილია ეშმაკის იარაღი, მისი გამარჯვება. იმის თქმა შემიძლია, რომ, საუბედუროდ, ქართველებში ყოველთვის იყო ღალატი, შური და, ალი-მირზას თქმისა არ იყოს, თავის გამოჩენის სურვილი, ასევე გადაჭარბებული სიამაყე. დიახაც! მედალს ორი მხარე აქვს. მხოლოდ კარგის დანახვა ხომ არასასარგებლოა. მაშინ კარგსა და ცუდს ვერასოდეს გავარჩევთ. ჩვენ კი უნდა შეგვეძლოს სწორად შეფასება და უნდა ვთქვათ დაუფარავად: ბევრ კარგ თვისებასთან ერთად ბევრი ცუდიც გაგვაჩნია. უბრალოდ, ამას მტერი ყოველთვის ჩვენზე ადრე ამჩნევს და „სუსტ წერტილში" გვარტყამს. საკუთარი „მე"-ს შეცნობა ხშირად მტრისგან გვიწევს. ალი-მირზამ ერთი „გურჯის" გული კი ამოიცნო, მაგრამ ვერ მიხვდა, რომ უამრავი რამის სიყვარული ასულდგმულებს: სამშობლოსი, წინაპრების, სარწმუნოების და, რაც მთავარია, საკუთარი ღირსების გრძნობა აქვს მოჭარბებულად. ამიტომაც იბრძვის და, იქნებ გზიდან კი გადაუხვიოს, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოფხიზლდება. ამის დანახვა კი ბევრს არ შეუძლია, თუნდაც ქართველების კარგად „მაცნე" ალი-მირზასაც კი.

ძალიან მწარე მოსასმენია: *„როცა გურჯი მხრებს ასე არხევს და ათამაშებს, ეს იმის ნიშანია, რომ სინდისი სუფთა არა აქვსო"*, – ე.ი. სადღაც ქენჯნა მაინც აწუხებს. ძალიან, ძალიან მაინტერესებს, თავის ერს რა უარყოფითს მოუძებნიდა სულეიმანი. მაგრამ მწერლის მიზანი ეს არ არის. მისი ამოცანაა, ჩვენ აგვიხილოს თვალი და კიდევ: ერთი რამ ნათელია, რომ საქართველო ხუთი ათასი წლისაა. თავისი ჭირ-ვარამით, სიკეთითა თუ ბოროტებით, ვაჟკაცებითა თუ მოღალატეებით, დღემდე არსებობას განაგრძობს. შეინარჩუნა თავისი ენა, სარწმუნოება და ნაწილობრივ მამულიც. ის სიყვარული, ერთობა და ერთგულება კვლავ ღვივის ქართველთა გულებში და მჯერა, მალე ერთ დიდ კოცონად დაინთება და დაადნობს გაყინულ გულებს. იგისგან დარჩა ზუ. ხოლო ბრძენთა ქადაგებით, სამასი მოწამის, თევდორე მღვდლისა და უამრავი სხვა ქართველის სამაგალითოდ დავრჩებით ჩვენ.

ბოლოს... მართალია სულეიმანი ქართველებს უსურვებს, რომ სისხლის მდინარეში დავიხრჩოთ, ფერფლი და ნაცარი დარჩეს ჩვენი ქალაქებიდან და დაბებიდან, მაგრამ ჯერ ცოცხლები ვართ. მართალია, ქართული მიწა-წყალი ცრემლს და სისხლს წაულეკავს დღესაც, მაგრამ მჯერა, ხეთა ფესვები მყარადაა მიწაში და არ წაიქცევა!..

და, რა თქმა უნდა:
„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი!"

ნატო გადრიძე
თბილისის №44 საჯარო სკოლის
XII² კლასის მოსწავლე

მივიწყებული სახელები

თავისუფლებისთვის მებრძოლი პოეტი

“მიხას მოსვლაზე - მზე მოვა,
რომ წავა - შავი ღრუბელი”.
ხალხური

სიცოცხლე სრულიად ახალგაზრდამ, 25 წლისამ დაასრულა. სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ლექსებს ანდობდა თავის განცდებს და ამიტომაცაა მისი ლექსები მის ცხოვრებასავით ვაჟკაცური და ომახიანი. ლექსად მოსაუბრე, ვაჟკაც ფშაველთა შორისაც კი გამოირჩეოდა პოეტური ნიჭით და რაინდული სულით.

მიხა ხელაშვილი ზუსტად XX საუკუნის დასაწყისში დაიბადა, 1900 წელს, უკანა ფშავში, სოფელ ახადში. პატარაობისას, ხატობებსა თუ საფიხვნოზე, ლექსაობასა თუ მახვილსიტყვაობაში გამართულ შეჯიბრებში მიხა თურმე საკუთარ ლექსებს ამღერებდა ფანდურზე, სალამურზე და განთქმულ ფშაველ მელექსეებსაც კი ტოლს არ უდებდა კაფიაობაში. ამას გარდა, იგი კარგი მოჭიდავე, შესანიშნავი ცხენოსანი და უებრო ჩუბინი ყოფილა.

დაწყებითი განათლება თამარ მეფის სალოცავში მიუღია, ბერ ილარიონთან. შემდეგ მიხას მამას მარჩენალი ხარები გაუყიდია და შვილი თბილისში წაუყვანია, ორწლიან სადიაკვნო სასწავლებელში. დედაქალაქში მიხას განსაკუთრებით კარგად შეუსწავლია ქართული და რუსული სალიტერატურო ენები. სასწავლებლის დამთავრებისთანავე იგი ხევსურეთში, ბარისახოში საყდრების მცველად და დიაკვნად გაუმწესებიათ, მერე კი ჩარგლის ეკლესიაში მღვდლად უკურთხებიათ.

მშობლიურ კუთხეში მიხა მთის მკვიდრთ ქართულ კლასიკურ მწერლობას აცნობდა, უფლის სიყვარულს უნერგავდა, თავის ლექსებს უკითხავდა. ხალხს ძალიან ჰყვარებია, მასზე ასე ამბობდნენ:

„მიხაი გვყავის ჯეილი, ფასი მთელ ფშაველთისაო,
ტანად კი დაბალაია, ხნით ოცდახუთი წლისაო,
გაუდრის ბატალიონსა, თუ მტრულად დახვდებისაო“.

მიხას ფიზიკურ ძალაზე ფშავში დღესაც ლეგენდები დადის. ამბობენ, მკერდი მთასავით ამობურცული ჰქონდა და ზურგზე კუნთების გროვა ედგაო. იმასაც ამბობენ, ცხენს კისრით შეუდგებოდა მუცელს ქვემოთ და მუთაქასავით ისროდაო.

შემდეგ საქართველოში ბოლშევიკების ზეობის შავბნელი ხანა დადგა. „წითელმა ბოროტებამ“ მთასაც შეუტია და მთის ლაღი ხალხის თავისუფლების ხელყოფა განიზრახა. მიხა კომუნისტურ რეჟიმს ვერ შეურიგდა. მან ეკლესია დატოვა და თავი ტყეს შეაფარა. ფშავში ამბობენ, მიხა ტყეში საყაჩაღოდ კი არა, იმიტომ გავიდა, რომ იმჟამად ყველგან ფეხმოკიდებული ეშმაკეული ცხოვრების წესი არ გაეზიარებინაო.

მიხას არსებობას ხელისუფლება ვერ ეგუებოდა, რადგან ხალხის თვალში ის გმირი იყო, თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლო. მიხას მოსაკლავად ფშავში მილიციელთა და კომკავშირელთა რაზმები შეადგინეს, მაგრამ ალღოიანი, საზრიანი და მამაცი ხელაშვილი მოუხელთებელი შეიქნა.

მიხა ხელაშვილის დაჭერის მიზნით, კომკავშირელმა მილიციონერებმა წარმოუდგენელი ცოდვა ჩაიდინეს: ერთი სოფლიდან მეორეში მიმავალ მიხას დედას გზაზე დაუხვდნენ, ჯერ ხანჯლის წვერებით დაჩხვლიტეს, მერე კი ტყვია დაახალეს და მოკლეს.

ამ საზარელმა ამბავმა ლექსად ათქმევინა მწარე სიტყვები მიხა ხელაშვილს:

„სინათლის სხივი გამიქრა,
ბნელით მაიცო მიწაო,
სისხლით და ცოდვით აივსო
მხარეო არაგვისაო“.

გადმოცემის თანახმად, მიხა თავით ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარა, წელზე ყუმბარები შემოურტყამს და დედის დასატირებლად ისე მისულა. თუ მილიციონერები მის მოკვლას დააპირებდნენ, მიხასთან ერთად ისინიც აფეთქდებოდნენ. მიხამ სულ ორიოდ წუთი დაჰყო დედის ცხედართან, გამოეთხოვა მას და გაუჩინარდა.

მიხა ხელაშვილმა უდიდესი კეთილშობილება გამოიჩინა და დედის მკვლელებზე შური არ იძია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის იოლზე იოლი იქნებოდა. მიხას გმირის ღირსებისთვის უკადრისად მიაჩნდა საკუთარი კუთხის შვილის, თუნდაც მტრის მოკვდინება, ამის შემდეგ რაინდი პოეტის ავტორიტეტი ხალხის თვალში კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომ მთავრობა ყველაფერს აკეთებდა მის მოსაკლავად. შეიქმნა საგანგებო რაზმი, დაახლოებით 60 კაცისაგან შემდგარი.

თურმე ერთ დილით რაზმის კომისარი მდინარესთან პირის დასაბანად გასულა. მოულოდნელად მის წინ მიხა აღმართულა და კომისრისთვის უთქვამს, ათასი კაციც რომ შეიყაროთ, თქვენ მე ვერ მომერევით, გამერიდეთ და მეც გაგერიდებითო. კომისარს იარაღისკენ წაუღია ხელი, მაგრამ მიხას დაუსწრია და იქვე მოუკლავს. შემდეგ რაზმის სადგომში შევარდნილა და 60-კაციანი რაზმის წინ პირისპირ დამდგარა, სიტყვებით: აქა ვარ, მესროლეთო. 60 კაციდან თურმე ვერც ერთმა ვერ გაბედა თოფი მიეშვირა ამ ლეგენდად ქცეული კაცისთვის, რომელსაც, ხალხის თქმით, ტყვია არ ეკარებოდა; მაშინ მიხა მათკენ ზურგით შებრუნებულა და უთქვამს, რაკი პირისპირ ვერ ბედავთ, ზურგში მესროლეთ, როგორც ჯაბანთა წესიაო. რაზმელები კვლავ მონუსხულებივით მდგარან. მიხამ ყველას იარაღი აჰყარა თურმე და ღელეში გადაუძახა.

შემდეგ მიხა ხელაშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმს“ შეუერთდა და თან ახლდა ჩოლოყაშვილს საქართველოს მთებში. მიხამ ბევრჯერ ისახელა თავი „შეფიცულთა რაზმში“ არაერთი გმირული საქციელით.

თურმე მიხა სულ თან დაატარებდა ტყავის აბგას, რომელშიც ქაღალდები და ფანქრები ეწყო. ხშირად მინდორზე წამოწვებოდა და ლექსებს წერდა, რომლებსაც შემდეგ რაზმელებს უკითხავდა. რამდენიმე ლექსი ახლობლებისთვის გაუგზავნია, ფანდურზე დასამღერებლად. მიხას გაგზავნილი ლექსები ხალხში სწრაფად ვრცელდებოდა და როგორც ჩანს, ხალხურ სიტყვიერებაშიც სწორედ აქედან შემორჩა.

ქაქუცა მიხას „კარის პოეტს“ უწოდებდა და ჰპირდებოდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში, კარგ განათლებას მიაღებინებდა. კარის კი არა, ველის პოეტი ვარო, – ხუმრობდა თურმე მიხა.

მიხა ხელაშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს უცხოეთში არ გაჰყოლია. ასე უთქვამს, რაც უნდა მოხდეს, ჩემს სამშობლოს არ მივატოვებო, და თავი კვლავ ფშავ-ხევსურეთის მთა-ტყისათვის შეუფარებია.

ფშავში სატრფო ჰყოლია მიხას, რომელთანაც შვილი შეეძინა, თამარი. მთავრობისაგან დევნილს მეუღლისთვის შეუთვლია, სახლს იქით მამულში გაიარე და იქ დაჯექი, ბალღი დურბინდით უნდა ვნახოო.

თავისი ბედი მიხას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და გრძნობდა, რომ მის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ეამაყებოდა, რომ სიცოცხლეს სამშობლოს სწირავდა.

ეს კარგად ჩანს მისი დახვრეტილი მეგობრის დისადმი მიწერილ, 1924 წლით დათარიღებულ ბარათში:

„ნუ იფიქრებ, რომ შენი ძმა მოკვდა და აღარ არის, მოკლეს და დაიკარგა. არა! ის არც მკვდარია და არც დაკარგული. ერთი კი არა, არამედ მრავალი ვაჟკაცი შაეწირა თავის სამშობლო საქართველოს მსხვერპლად. მრავალ ვაჟკაცთ თავის ნებით გადადვეს თავი სამშობლოსათვის და სიცოცხლე მწარე სიკვდილს მისცეს პირში. განა ეს ამოდენა სამშობლოსათვის დახოცილი და დასჯილი ხალხი დაკარგულია? არა! იმათ სახელი მქუხარებს და ზეობს სამშობლოსათვის... აი, ამ გმირთა, ვაჟკაცთა ღირსება და სახელი ბევრი ცოცხლის ღირსებასა და სახელს სჯობია. ისინი უკვდავნი არიან, საქართველოს არსებობამდის დაუვიწყარნი. აი, შენი ძმა კი ამ ვაჟკაცებში ითვლება, რომლებიც ცოცხლებს მკვდრები სჯობიან. ამისთვის არ უნდა იდარდო...

გუშინ შენი ძმა მოკლეს და ხვალ ჩემსაც იგივეს გაიგონებ. ჩვენი გზა ერთია, ხოლო იმედი მაქვს ჩვენი დები არ დაგვივიწყებენ და არც დაგვაღონებენ თავისი კაეშნით, მეტისმეტი დარდით“.

მიხა ხელაშვილმა თავისი აღსასრული ნათელმხილველივით იწინასწარმეტყველა:

„მე მამკლავს ძმისა მამკლავი,
იქნება სახელიანი?!
ჩამსხდარა ხევის ჭალასა
მთავრობა აგენტიანი“.

„აგენტიანმა მთავრობამ“ მიხას ძმადნაფიცი და კიდევ ერთი მისი მეგობარი მოისყიდა. მიხა ძმადნაფიცს სტუმრად ეწვია ჩარგალში. მასპინძელმა ხინკალი და პურის არაყი მიართვა, მერე კი ძმადნაფიცთა წესისამებრ, პირი გაპარსა. მიხას უთქვამს:

„გატყობ, ჩემი მოკვლა გაქვს დავალებული. ბარემ გამომისვი ეგ სამართებელი, შენც მოისვენებ და მეცა! არც დავინანებ, რაღაა ჩემი სიცოცხლე“.

ხინკლის ჭამის დროს მიხას სახეთქიანი ვაზნა მიუწოდებია ძმადნაფიცისთვის, – როცა ჩემს მოკვლას დააპირებ, ეს ტყვია დამკარ, უცებ გამათავებსო.

დამთვრალი მიხა საბძელში დააძინეს. მძინარეს ჯერ თოფის კონდახით გაუტეხეს თავი, მერე კი შუბლში ტყვია დაახალეს. მოკლულს მიწაც არ აღირსეს. მილიციის რაზმელებმა ხელაშვილის ცხედარი დუშეთში ჩაიტანეს და მილიციის ეზოში დააგდეს ხალხის დასაშინებლად.

მიხას დამ, სალომემ, ჯერ მკვლელობის ადგილიდან ძმის დანთხეული ტვინი მოკრიბა, შემდეგ ერთი ხევსური მილიციელის ხელშეწყობით, მიხას ცხედარი მოიპარა, რომელიც ხალხის დასაზაფრად ლამის ორი კვირის განმავლობაში მილიციის შენობის წინ ეგდო, ხურჯინით ცხენს აჰკიდა, დღე მალვითა და ღამე მოგზაურობით ჩარგალში აიტანა და დედის საფლავის გვერდით დაკრძალა.

ეს 1925 წლის 25 იანვარს მოხდა. 25 წლის მიხა ხელაშვილი საფლავში იმ დღეს ჩავიდა, რა დღესაც ამ ქვეყანას მოევლინა.

* * *

მიხა ხელაშვილის ლექსებსაც მათი ავტორის ხვედრი ერგოთ. ხელისუფალთა შიშით, ბევრმა გაანადგურა ისინი, ბუხარში ჩანაცრა, კლდის ნაპრალებში გადამალა. მიხას ლექსები ძირითადად მისმა დებმა გადაარჩინეს და შემდეგ მის ქალიშვილს გადასცეს.

არ შემიძლია, აქ თავიდან ბოლომდე არ მოვიტანო მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“, რომელიც ბევრს ხალხური ლექსი ჰგონია. ჩემი აზრით, ამ ლექსის ყოველი სიტყვა, ყოველი ტაეპი სრულად გამოხატავს ბრწყინვალე მელექსისა და დიდებული მამულიშვილის სულს:

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე
და შენ კი ჩემს სამახსოვროდ სააქაოზე რჩებოდე.
გიმღერდენ ჩემებრ სწორები, ფანდურის ხმასა ჰყვებოდე,
ქვეყანა მხიარულობდეს და მე საფლავში ვლპებოდე.
ჩემო სახელო, ამქვეყნად დიდხანსამც იხსენებოდე,
ჩემო ნათქომნო სიტყვანო, ნეტავი, გახქვეყნდებოდე,
და ჩემო საფლავის კარო, შენამც კი აჰყვავდებოდე,
გულო დარდითა, წყეულო, ნეტავ, არ დაშავდებოდე,
სახლო, არ დაიშლებოდე, ცოლო, არ გასხთოვდებოდე!
ნეტავინ, გულო კაცისავ, ძრიელ არ დაღონდებოდე,
ფიქრო, შენ არა მტანჯავდე, როდისაც ჩავგონდებოდე.
სუყველას გაუხარდება, რომ უდროვოდა ვკვდებოდე?
იქნება, იყოს მისთანა, რომ მას არ ვავიწყდებოდე,
ჩემზედ იტიროს მწარედა, ყოველთვის ვაგონდებოდე,
ბევრჯერ მიტიროს გულითა, მანამდის დავმინდებოდე?!
ერთ ეგეც უნდა ვიფიქრო, ჩემს სიკვდილს ვინ იტირებსა,
ვინ ჩამააბნევს ცრემლებსა, საქმეს ვინ გაიჭირებსა?
მე ამას ვამბობ და ფიქრიც უთუოდ მინანდვილებსა,
დედის მეტს ჩემი სიკვდილი არავის აატირებსა.
თუმც ნათესავნი, და-ძმანი, აღარ აისხმენ ღილებსა,
ბოლოს კი დავავიწყდები, ყველას სხვა დაათირებსა.
თუმც ცოლიც კარგა მიტირებს, ქვეყანას გააკვირებსა,
ცოტა ხნის შემდეგ ისიც კი სხვას ვისმე გაუცინებსა.
მეზობელებიც მიტირებს, ძალად დაჰკრეჭენ კბილებსა,
კიდევაც ვიტყვი, დედის გულს მე ვერვინ გამაცილებსა,
სუ იმის გულში ვიქნები, ძილსაც ვერ დაიძინებსა.
და სხვას მე ვის რა მოვკითხო? სუყველა მოილხინებსა,
მალე დაუსმენ თითებსა თავის ფანდურის სიმებსა.
ვენაცვლე ძუძუთ გამზდელსა, გულით ის დამიტირებსა!
დედას ვუყვარვართ და დედა არ გვაგონდება შვილებსა,
იმათა გვტანჯავს უფალი, ყოველთვის გვაცოდვილებსა.

1919 წელი. ბარისახო.

* * *

წითელმა დროებამ საქართველოს ბევრ ღირსეულ მამულიშვილს, მიხა ხელაშვილის დარად, უკუღმა დაუტრიალა ბედის ბორბალი. დრო იცვლება, ხალხიც იცვლება და მთავრობებიც, მაგრამ არ იცვლება ისეთი ღირებულებები, როგორიც ცხოვრობდა და რომლებისთვისაც მოკვდა მიხა ხელაშვილი. ვფიქრობ, ყოველი ადამიანისათვის ღირსეულად ცხოვრება სწორედ ამგვარი ღირებულებების დაცვა და შენარჩუნებაა.

ხოლო ერის, ქვეყნის ღირსებაზე მსჯელობა იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ როგორ ეპყრობა იგი თავის გმირებს, მათ დანატოვარს.

მიხას ერთადერთი შვილი, თამარი, ოთხმოცდაათს მიტანებული მოხუცი, დღეს ეზოში ჩადგმულ ძველ ვაგონში, უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობს და სათუთად უფრთხილდება დრო-ჟამისაგან გაყვითლებულ, გაცრეცილ ფურცლებზე დაწერილ მამის ლექსებს. მისი საცხოვრებელი სახლის კედლები ჩამოშლილია, სახლი დანგრევის პირასაა მისული...

ლუკა გორდაძე

საუბრები ლიტერატურაზე

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან

სიმბოლიზმი (წერილი II)

რუბრიკას უძღვება
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ბელა წიფურია

სიმბოლიზმის ლიტერატურული მემკვიდრეობის აღსაქმელად წინასწარვე უნდა გავითვალიწინოთ და, თუ შესაძლებელია, გავითავისოთ სიმბოლისტური შემოქმედების რამდენიმე ძირეული პრინციპი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მკითხველის შინაგანი გამოცდილება გარკვეულწილად მაინც თანხვდებოდეს ავტორის სულიერ მდგომარეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ლიტერატურა სავსებით უცხო დარჩება ჩვენთვის, რადგან სიმბოლიზმში, რეალისტურ მწერლობასთან შედარებით, კიდევ უფრო ძნელადმისაღწევი და იმავდროულად, აუცილებელი პირობაა ავტორისა და მკითხველის შინაგანი ერთიანობა, ინტელექტუალურ-ემოციური კავშირი. *„ჩვენ, სიმბოლისტები, არ ვარსებობთ, თუ არ არსებობს მსმენელი-სიმბოლისტი“*, – აღნიშნავდა ვ. ივანოვი. ამგვარი მსმენელი კი თავადაც უნდა ცდილობდეს ავტორის სათქმელის გათავისებას, რადგან მწერლისა და მკითხველის ურთიერთკავშირი, ანუ მხატვრული კომუნიკაცია, მუდამ ორმხრივი პროცესია.

სიმბოლისტური მსოფლმხედველობის საფუძვლები საძიებელია უაღრესად ღრმა სულიერი და გონებრივი კრიზისის სფეროში. მიჩნეულია, რომ ეს კრიზისი მზადდებოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და უკიდურესი სახით გამოვლიდნა XIX ს-ის მიწურულს: სიმბოლისტურმა ლიტერატურამ კი ის მთელი სიმძაფრით ასახა. ამ ეპოქაში პიროვნებამ გააცნობიერა, რომ მის არსებაში დაირღვა სულის, სხეულისა და გონების ერთიანობა, რადგან დაიკარგა სულიერი საწყისის პრიორიტეტი, დაფუძნებული ღვთის რწმენაზე. *„ფესვებმოწყვეტილი, ხვედრის მონა-მორჩილი, უძლური – გონებით სძლიოს თავისი უვიცობა და ვიწროობა და უძლური – სხეულით სძლიოს თავისი ფიზიკური არსებობის წარმავლობა“*, – ასე დაახასიათა არჩილ ჯორჯაძემ ამ ეპოქის ადამიანი.

სიმბოლისტური მსოფლაღქმის ტრაგიკულობა უშუალო შედეგია ურწმუნოების, ადამიანის გონისმიერი საწყისის აღზევებისა. გონების ქმედების უმთავრეს თვისებად კი ეჭვის გაჩენა მიიჩნევა. სიმბოლიზმში ეჭვი პიროვნების სულიერი დისჰარმონიის საფუძველია: ეჭვი არის გამოხატულება ადამიანის შინაგანი სამყაროს წინააღმდეგობისა. მასში ერთდროულად იგულისხმება პიროვნების სულიერი უსასოობაცა და გონების აქტივობაც. რ. შპენგლერი ცალსახა მიმართებას ამყარებს ამ ორ საწყისს შორის და ამბობს: *„ღმერთის არსებობაში დაეჭვება – ასეთია იმ ადამიანის ბედისწერა, რომელშიც ღრმა გონება სძლევს ღრმა სულს“*. სიმბოლიზმშიც ნათლად არის გააზრებული, რომ მხოლოდ ძლიერ რწმენას მოაქვს პიროვნებისათვის სულიერი სიმშვიდე და ბედნიერება, რომელიც ეჭვის დათრგუნვით მიიღწევა. ეჭვის აღზევებასა და ღვთაებრივ საწყისთან ერთიანობის დაკარგვას კი, როგორც პაოლო იაშვილი იტყოდა, მოსდევს „გრიგალი და კორიანტელი“ პოეტის სულში.

სიმბოლისტურ მსოფლმხედველობაში რამდენიმე ძირეული პრობლემა გამოიკვეთა, რომლებიც შემდგომ მთელი მოდერნისტული მწერლობის საკვანძო საკითხებად იქცა. აღსანიშნავია, რომ ეს არის არა საკუთრივ სიმბოლიზმის მიერ მოძიებული პრობლემები, არამედ ის ძირეული კითხვები, რომელსაც უტრიალებს ყველა ეპოქის ადამიანი. დავით გურამიშვილის ნათელი და სადა ფორმულირების მიხედვით ეს ზოგადადამიანური პრობლემები ასე განისაზღვრება: *„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“* სწორედ საკუთარი თავის შეცნობა, გარესამყაროს წვდომა და სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს ამოცნობა რჩება სიმბოლიზმის მსოფლმხედველობის ძირითად პრობლემატიკად. ფაქტობრივად, ეს ის კითხვებია, რომელთა პასუხების მოძიების მიზნითაც იქმნება ყველა დროის რელიგიური მოძღვრებანი, ფილოსოფიური სისტემები, მხატვრული ლიტერატურა. ცხადია, ეს კითხვები უშუალოდ ღვთის რწმენის პრობლემიდან გამომდინარეობს და მათი ამოცნობა სწორედ სარწმუნოებრივ მიდგომას საჭიროებს. ქრისტიანული სარწმუნოება სავსებით ნათელ, ღვთიური ჭეშმარიტებით აღსავსე პასუხებს იძლეოდა ამ მარადიულ კითხვებზე. ეს ცოდნა არ იყო მოპოვებული ადამიანური გონების მიერ და ღვთაებრივ გამოცხადებათა მადლით ეძლეოდა კაცობრიობას, მაგრამ უმთავრესი, რაც სჭირდებოდა პიროვნებას ამ ჭეშმარიტების აღქმისათვის, სწორედ ის ღრმა რწმენა იყო, რომელიც დაკარგულად ითვლება სიმბოლისტურ ლიტერატურაში. XIX ს-ის მეორე ნახევარში ევროპული ცნობიერება უკვე იმდენად რაციონალისტურია, რომ მხოლოდ ადამიანური შემეცნების, მეცნიერების ძალით სურს ამოიცნოს სამყაროს ყველა საიდუმლო, მაგრამ სიმბოლისტურ მსოფლმხედველობაში მიჩნეულია, რომ „გონების გამუდმებული ანალიზი“ მხოლოდ შინაგან კონფლიქტს წარმოშობს პიროვნებაში და არ აძლევს მას ჭეშმარიტ ცოდნას. ამასთანავე, სწორედ გონება უხშობს მას სულიერ ძალებს და სარწმუნოებრივი გზითაც ვეღარ მოიძიებს ჭეშმარიტებას. *„გონისმიერი შემეცნება და ცოდნა თრგუნავს ცნობიერებაში ყოველივე ადამიანურს, უპირველეს ყოვლისა, – გრძნობას“*, – აცხადებს ანდრეი ბელი: ამგვარ ადამიანს აღარ ძალუძს, აღიქვას სამყარო, როგორც მთლიანობა, რომელიც ერთ ზოგად ძალას ემორჩილება, შეიმეცნოს მისი წესრიგი, რამდენადაც სიმბოლიზმში სამყარო შეუცნობადი ხდება. იგი მტრულ საწყისად ისახება და უმთავრესი გრძნობა, რომელსაც ადამიანი მის წინაშე განიცდის, არის შიში *„მას ეუფლება შიში დასასრულისა. შიში სამყაროს, შიში დაბადებისა და შიში სიკვდილისა“* (ო. შპენგლერი). ამგვარ მტრულ, უცხო და აგრესიულ გარემოში შემოქმედი „სუსტია“, „უღონო“, მას არ შეუძლია შეიტანოს წესრიგი ქაოსში. დაიცვას დისჰარმონიისაგან გარესამყარო და საკუთარი სული. ამდენად, სიმ ბოლისტურ ლიტერატურაში აისახება „უარყოფით განცდათა გამა“, რაც დეკადანსის სულიერი დაცემის განწყობილებას ქმნის, როცა შემოქმედისათვის გაუსაძლისი აღმოჩნდება სამყაროს წინააღმდეგობრიობა. იგი უარს აცხადებს მის აღქმაზე. რამდენადაც ხილული, მატერიალური სამყარო პოეტისათვის მოკლებულია ჭეშმარიტებას, იგი ცდილობს საკუთარ სულიერ სამყაროში, ოცნებისა და წარმოსახვის საუფლოში, მოიძიოს დაკარგული ფასეულობანი, როგორც მოგვიანებით დაწერს გიორგი ლეონიძე. იგი *„თავისივე შეთხზული უცნაური ოცნებით იფარავს თავს მხეცივით შემოტეულ სინამდვილისაგან“*. სიმბოლისტურ პოეზიაში ფიზიკური რეალობა უკან იხევს სუბიექტური რეალობის წინაშე. წარმოსახვა თავის ნებას უმორჩილებს პოეტის მზერას და რამდენადაც ცხადი გონებით, ცნობიერი, რაციონალური მიდგომით შეუძლებელი ხდება ჭეშმარიტების ფლობა, სიმბოლიზმში ოცნებისა და წარმოსახვის უმაღლესი ფორმა – პოეტური შემოქმედება ცხადდება ერთადერთ გზად იდეათა სამყაროს განჭვრეტისა. ამდენად, სიმბოლისტური თხზულება არ არის მხოლოდ ლიტერატურა, ამ სიტყვის ჩვეული გაგებით. ეს არის, ერთი მხრივ, ადამიანისათვის დაფარული ჭეშმარიტების წვდომის გზა, ხოლო მეორე მხრივ, ამ ჭეშმარიტების გამოხატვისა და გამოთქმის საშუალება. ეს რთული, ორმხრივი პროცესი სახელდებულია, როგორც „სიმბოლიზაცია“. სიმბოლიზაციის ამგვარი გაგება შეიძლება იქცეს სიმბოლიზმის, როგორც მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი მოვლენის აღქმის წინაპირობად. რამდენადაც სიმბოლიზმი თავის თავში აერთიანებს საპირისპირო იმპულსებს, საპირისპირო განცდებს, განსხვავებულ სულიერ მისწრაფებებს შემოქმედისა, დეკადენტური განწყობილების საპირისპიროდ სიმბოლიზმი მოიცავს სულიერი აღორძინების მძლავრ პოტენციასაც, რაც, ბუნებრივია, სულის აქტივობასთან, რწმენის წიაღში დაბრუნებასთან არის დაკავშირებული. შინაგანი დისჰარმონიის რთული ეტაპის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება რწმენას. რამდენადაც *„რელიგია არის ერთადერთი გამოსავალი ამ სიგიჟიდან, რომელიც ეუფლება ცნობიერ ადამიანს“* (ა. ბელი) ღვთიურ საწყისთან მონანიე დაბრუნება ჭეშმარიტი რწმენის შუქით ასხივოსნებს სიმბოლისტურ პოეზიას.

მიუხედავად ძიებათა რთული, წინააღმდეგობრივი პროცესისა, სიმბოლიზმი ქმნის ერთიან მსოფლმხედველობრივ სისტემას, რომლის შემოქმედებითი განსხეულებით სიმბოლისტური ლიტერატურა მსოფლიო მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა ლიტერატურისმცოდნეობაში. აღნიშნულია ისიც, რომ მიუხედავად XX ს-ის პოეზიის დიდი მიღწევებისა, პოეტური შემოქმედება დღემდე ეყრდნობა იმ პრინციპებს, რომლებიც სიმბოლიზმის მიერ იქნა განსაზღვრული.

სიმბოლისტური პოეზია

ჟიულ ლაფორგი

სამგლოვიარო მარში მიწის გარდაცვალებაზე შეტყობინება

(ფრაგმენტები)

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე:
ლალის ტვირთები დაიგრაგნენ შორი ხმაურით.
თქვენ, მნათობებო! მგლოვიარე ხოროთა ხმაზე
გაყინულ მიწას მოევლინეთ ოქროს ტრაურით!

მიწა მკვდარია და შესრულდნენ ყველა დროები.
შენ უკანასკნელ დაიკვნესე ავი ხროტინით.
შავ სიჩუმეში, რომ გელოდა გილიოტინით,
შენ როგორც ბუში დასცურავხარ განმარტოებით.
ყველგან ზღვა არის მოჩვენებით თუ სინამდვილით.
დაეხეტები, როგორც კუბო და ძორი შავი,
მაგრამ წარსული მოიგონე – პოემა ავი,
არა, იძინე აღსასრულის მარადი ძილით!

* * *

სიკდვილი მოდის? დაივიწყე რაც იყო წინათ.
ის საშინელის ტრაგედია იყო – კოშმარი.
მხოლოდ კუბოა უგზო-უკვლო დღეს შენი შარი,
უხსოვარ ბნელში ის უცნობი არის რუინა.
შენ არ ყოფილხარ! შენ იყავი მხოლოდ ჩვენება!
აქ აღარ არის მოწამე და მაყურებელი.
არის სიშავე, დრო, სიჩუმე, როგორც მხლებელი.
შენი ბედია აღსასრული და განსვენება!
ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე:
ლალის ტვირთები დაიგრაგნენ შორი ხმაურით.
თქვენ, მნათობებო! მგლოვიარე ხოროთა ხმაზე
გაყინულ მიწას მოევლინეთ ოქროს ტრაურით!

ლოცვა

ღმერთო, მაპატიე უმიზნო ცხოვრება!
ღმერთო, მაპატიე პოეტობის სურვილი.
დღეს ჩემი ოცნება შენ გემათხოვრება,
სუსხიან, უცრემლო ქვითინით დაბურვილი.
უვიცს და უბედურს მე დიდხანს მეგონა –
საჭიროა დიდება, ბრწყინვალე სახელი.
ახლა ჩემი სული ლოცვას ჩაეკონა,
მფარველ ანგელოსის მომესმა ძახილი.
შენ, სულო, ღმერთისკენ მუდამ მიდიოდი,
ქვეყანა ცოდვიანი, უცნობი, გაშინებს.
შესცქერი მსოფლიოს, როგორც იდიოტი,
ირიბი სამყარო მთლად გადამაშენებს.
თუ ვერ მოვახერხე, მაინც ხომ მწყუროდა,
მაინც ხომ მინდოდა ქრისტეს სიყვარული,
მაგრამ მაწვალებდა სარკის ფუღუროდან
ვიწრო ყელსახვევით აჩრდილი ფარული.
თუმცა მე პოეტად თავი გავასაღე,
თუმცა გამოვკვეთე თრთოლვა იქითური
არ იყო ჩემს ყოფაში სიმართლის ნასახი,
მეხალისებოდა ცხოვრება ბითური.
ვიყავი უკმეხი, როგორც რაძივილი,
და ახლა ვათავებ ისევ მონანიებით –
მიიღე, უფალო, ჩემი ლოცვის ტკივილი,
გამაბედნიერე შენივე ზმანებით.

სტეფან მალარმე

გედი

მუდამ ბრწყინვალე, მედიდური და მოთარეშე,
ნუთუ შენ ახლა ვერ დაამსხვრევ ფრთის გაბრაზებით
ტბას ყოფილს, სადაც იქარგება თოვლის ხაზებით
სპეტაკი ყინვა – უზენაეს ფრენის გარეშე.
შენ წარსულ დღეებს, სევდის გედო, ეძვირფასები,
ებრძვი უდაბნოს განათებულ სიმწუხარეში.
შენ ვეღარ ცხოვრობ გამოგონილ უცხო მხარეში,
და აი, ბრწყინავს თვით ზამთარი თეთრ დარბაზებით.
რომ გადალახავ მკვდარ სივრცეებს, ტყვილად გგონია,
ეალერსება შენს თეთრ კისერს თვით აგონია,
შენ ფრთებითა ხარ მიჯაჭვული ლაღი, გვიანი.
შენი ჩვენება ამ წყვდიადში კრთის – დარდიანი;
მარტოობაში დაგამშვენებს მეფური ძილი,
და სიამაყით იმოსება შენი აჩრდილი.

თარგმანი ***ვალერიან გაფრინდაშვილისა***

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

ბულინგი – BULLYING

რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე

რა არის ბულინგი?

ბულინგი არის ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ტერორი, რომელიც ხორციელდება ბავშვის მიმართ თანაკლასელთა ან სხვა ბავშვების ჯგუფის მიერ, მისი დაშინებისა და დამორჩილების მიზნით.

ბულინგი გვხვდება როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში და განსაკუთრებით მძაფრად ვლინდება 9-10 წლის ასაკიდან.

რამდენად სერიოზულია პრობლემა?

ბულინგი სერიოზული პრობლემაა სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის, რომლის დასაძლევად ისინი უფროსებისაგან ვერ იღებენ სათანადო დახმარებას.

სტატისტიკური მონაცემები

საერთაშორისო კვლევებით მიღებულია შემაშფოთებელი მონაცემები: ნორვეგიის სკოლებში ჩატარებული კვლევის თანახმად, ბავშვების 15% ჩართული იყო ბულინგში. აშშ-ს სკოლებში მე-5 კლასელთა კვლევამ აჩვენა, რომ მათი 18% რეგულარულად არის ბულინგის მსხვერპლი. თითქმის ყველა ბავშვს აქვს გამოცდილი ბულინგის შემთხვევა. დიდი ბრიტანეთის მონაცემებით (DELFI), ბოლო 5 წლის განმავლობაში, ბულინგის მსხვერპლი იყო ყოველი მეხუთე ბავშვი. აშშ-ს უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (2000), სკოლებში სროლების 2/3 წარმოადგენს ბულინგის მსხვერპლთა შურისძიებას.

საშუალო სკოლებში ვხვდებით მოსწავლეებს, რომლებიც განეკუთვნებიან ე.წ. „მაღალი რისკის“ კატეგორიას. ეს ახალგაზრდები ხასიათდებიან გამოხატული აგრესიულობით, იმპულსური ქცევებით და მძიმე ტვირთად აწევთ მასწავლებლებსა და თანატოლებს. „მაღალი რისკის“ ჯგუფის ძირითადი მახასიათებლებია:

- აგრესიული ქცევა თანატოლებთან;
- გამომწვევი და თავხედური ქცევა უფროსებთან და თანატოლებთან;
- სპონტანური, დაუფიქრებელი რეაგირება მოვლენაზე ან სიტუაციაზე;
- ყურადღების მიქცევის დაუოკებელი სურვილი;
- დანაშაულის გრძნობის სუსტი განცდა;
- სხვებთან ურთიერთობაში ეგოისტური ვერბალური დამოკიდებულება, რაც გამოიხატება სხვისთვის საუბრის გაწყვეტინებაში, საკუთარი აზრების წამოყვირებასა და ისეთ თემებზე საუბრის წამოწყებაში, რაც არ ეხება საუბრის თემას.

ბულინგი გულისხმობს ისეთ ქცევებს, როგორიცაა:

- მეტსახელების შერქმევა;
- დაცინვა;
- მუქარა;
- ხელისკვრა;
- ჯგუფიდან გარიყვა;
- სხვა ბავშვის შესახებ დამამცირებელი, უცენზურო წარწერების გაკეთება;
- ნივთების ან ფორმის წართმევა;
- იგნორირება;
- მუშტებით ან ფეხებით ცემა;
- ცილისწამება.

სად ხდება ბულინგი?

ბულინგი შეიძლება სხვადასხვა ადგილებში მოხდეს. ძალიან ხშირად ბულინგი ხდება სკოლაში ან სკოლასთან ახლოს:

- კლასში;
- სკოლის გზაზე;
- დერეფანში;
- ტუალეტში;
- სასადილოში;
- სპორტულ მოედანზე და ა.შ.

პირდაპირი და ირიბი ბულინგი

პირდაპირია ბულინგი, როცა თანატოლები ბავშვს ღიად აყენებენ შეურაცხყოფას, თავს ესხმიან, ხელს კრავენ, დასცინიან და ა.შ.

ირიბი ბულინგი გულისხმობს ისეთ ქცევას, როცა ბავშვს ტკივილს აყენებენ უშუალო აგრესიის გამოყენების გარეშე. მაგალითად, არ ელაპარაკებიან, არ აძლევენ საერთო საქმიანობაში ჩართვის საშუალებას და სხვ.

რა უწყობს ხელს ბულინგის გავრცელებას?

ბავშვთა და მოზარდთა შორის ბულინგის გავრცელებასა და დამკვიდრებას ხელს უწყობს ამ მოვლენის მიმართ როგორც უფროსებში, ასევე ბავშვებში ჩამოყალიბებული არასწორი დამოკიდებულება, მცდარი შეხედულებები.

ხშირად შეიძლება გავიგონოთ, რომ თანატოლთა მიმართ ბავშვთა აგრესიულობა მოზრდილად ქცევის ბუნებრივი პროცესის გამოხატულებაა. მოზრდილთა საზოგადოებაშიც ხომ არიან წარმმართველები და მორჩილები. ამიტომაც ვიღაცამ ვიღაცაზე აუცილებლად უნდა მოახდინოს ზეწოლა. ბავშვები ხედავენ ამას უფროსების ქცევებში და ამ ქცევების კოპირებას ახდენენ. ამასთან, მოზრდილთაგან განსხვავებით, თავიანთი გრძნობების დემონსტრირებას უფრო ღიად და გულუბრყვილოდ ახდენენ. იქნებ სწორედ ამიტომ, აგრესიულ ბავშვებს რბილად „ჩხუბისთავებს“ უწოდებენ, ავიწყდებათ, რომ შეიძლება მათ ზოგჯერ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ თავიანთი მსხვერპლის ფიზიკურ და/ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

მცდარი შეხედულებები:

- ბულინგი ნორმალური მოვლენაა. მას ყოველთვის ჰქონდა და ექნება ადგილი;
- ყოველ ბავშვს უნდა შეეძლოს თავის დაცვა. ამიტომ ბულინგი გარკვეული დოზით საჭიროც კია ბავშვის გაძლიერებისათვის;
- ბულინგის შესახებ ვინმესთვის თქმა დასმენა, ენის მიტანა და ბავშვური საქციელია;
- ბულინგი ეხება ბავშვების მხოლოდ მცირე რაოდენობას;
- ბულინგის შემთხვევების უმეტესი ნაწილი ხდება არა სკოლაში, არამედ სკოლის გარეთ;
- დახმარება ესაჭიროება ბულინგის მსხვერპლს, აგრესორი კი, უბრალოდ, უნდა დაისაჯოს.

როგორია ბულინგის შედეგები?

ძალადობაგანცდილი მსხვერპლი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდეს შიშს, შფოთვას, თავს დამცირებულად ან დათრგუნულად გრძნობდეს. ასეთი ბავშვები თავს არიდებენ სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის.

რიგ შემთხვევებში ბულინგი სერიოზული ფიზიკური ტრავმებით ან ლეტალურადაც მთავრდება.

ბულინგში ჩართული ბავშვები ხშირად აგრესიის გამოვლენის კრიმინალურ ფორმებს მიმართავენ.

ბულინგის ინიციატორი ბავშვები თავიანთი აგრესიულობის დემონსტრირებას მოზრდილობის ასაკშიც აგრძელებენ და ხშირად ცხოვრების კრიმინალურ გზას ირჩევენ.

ფსიქიკური ტრავმა შეიძლება იმ ბავშვებმაც მიიღონ, რომლებიც ძალადობის უშუალო მსხვერპლი არ არიან, მაგრამ არიან ტერორის ფაქტის შემსწრენი. *„დღეს ეს სკოლაში მას დაემართა, ხომ შეიძლება, რომ ხვალ მე შემემთხვეს? ესე იგი, სკოლა ის ადგილია, სადაც თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობ“* – ასეთია „დამკვირვებელ-ბავშვთა“ დასკვნა. ასეთ ბავშვებს ეშინიათ, თვითონაც არ გახდნენ აგრესორის მსხვერპლი.

ბულინგის შედეგად მიღებულმა ძლიერმა ემოციურმა ტრავმამ შეიძლება ბავშვი სუიციდამდე მიიყვანოს.

პოტენციური მსხვერპლი თუ აგრესორი?

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ბავშვი შეიძლება იყოს როგორც ბულინგის მსხვერპლი, ისე მისი ინიციატორი. ძალიან ძნელია იმის დადგენა, თუ რომელ ბანაკში აღმოჩნდება კონკრეტული ბავშვი. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგები გამოყოფენ მსხვერპლისა და აგრესორის ხასიათის ზოგიერთ ტიპურ თვისებასა და ქცევის სტილს.

ბულინგის მსხვერპლი ბავშვი

ბავშვი-მსხვერპლი ცდილობს იყოს თანატოლებთან შედარებით უფრო შეუმჩნეველი, პატარა და სუსტი. საფრთხის გაჩენის შემთხვევაში ის მაშინვე ფრთხება, ტირის, საცოდავად და უბედურად გამოიყურება. ბავშვი-მსხვერპლი უმეტეს დროს (მათ შორის შესვენებებსაც) საკლასო ოთახში ატარებს, ბავშვების ხმაურიან თავყრილობებს გაურბის. ასეთ ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს სამედიცინო ჩივილებიც: მოუსვენარი ძილი, თავის ან მუცლის ტკივილი, უმადობა, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა).

ბავშვი-მსხვერპლი შეიძლება სხვათაგან განსხვავდებოდეს და იყოს სხვებზე უფრო:

- დაბალი;
- მაღალი;
- წყნარი, შენელებული;
- ჭკვიანი;
- ღარიბი;
- მდიდარი;
- მსუქანი და ა.შ.

ბავშვ-მსხვერპლს, ძირითადად, ახასიათებს:

- შფოთვა, სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებში უსაფრთხოების განცდის არარსებობა;
- თვითმკვლელობაზე ფიქრი;
- დასწავლილი უმწეობა; „მსხვერპლის“, „დამარცხებულის“ როლის მიღება;
- სასკოლო სიძნელეები – სწავლაში მიღწევების გაუარესება, გაკვეთილების გაცდენა;
- დასწავლილი აგრესიული ქცევა.

ბულინგის ინიციატორი (აგრესორი) ბავშვი

როგორც წესი, ბავშვ-აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ და თავიანთ გარემოში სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. ზოგჯერ ისინი ჩაკეტილები და ნაკლებკონტაქტურები ხდებიან, მაგრამ, ამასთან, პერიოდულად ავლენენ არამოტივირებულ რისხვას. ბავშვი-აგრესორი მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, საკუთარ და-ძმას. ურთიერთობებში, თამაშებში აღიარებს მხოლოდ ძალას, სისასტიკეს და ამის დემონსტრირებასაც ახდენს. ნებისმიერი კონფლიქტის გადასაჭრელად უპირატესობას ძალისმიერ გზას ანიჭებს.

ბავშვ-აგრესორს, ძირითადად, ახასიათებს:

- ჭარბი ენერგია;
- მჭევრმეტყველება;
- საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენა;
- სხვებზე ზეგავლენის მოხდენის და სხვა ადამიანების გამოყენების უნარი;
- საჩვენებელი პოპულარობა – სინამდვილეში მას ეს არ მოსწონს;
- ძალაუფლების, მბრძანებლობის დიდი სურვილი;
- შიში იმისა, რომ თვითონ არ დაამცირონ.

რატომ ავლენს ბავშვი თანატოლის მიმართ აგრესიას:

- სურს მიიქციოს ყურადღება;
- საკუთარ თავზე გადაჭარბებულად კარგი ან ცუდი წამოდგენა აქვს;
- არ შეუძლია მეგობრობა;
- არ აქვს დანაშაულის გრძნობა და სხვისი განცდების გაგების უნარი;
- ის, უბრალოდ, მოწყენილია.

პრობლემის მოგვარება

აქტიური ჩარევით მოზრდილებს (მასწავლებლებს, მშობლებს) შეუძლიათ პოზიტიური ზეგავლენა მოახდინონ ბულინგის პრობლემის მოგვარებაზე.

მოზრდილის როლი ბულინგის პრობლემის გადაჭრაში

გავრცელებული სიძნელეები:

მოზრდილებს უჭირთ ბულინგის ამოცნობა. ისინი ხშირად ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ ბულინგს თამაშით ჩხუბისა (ძიძგილაობა) და ნორმალური კონფლიქტებისაგან (უთანხმოება მეგობართა შორის). ხშირად მოზრდილები ნამდვილ აგრესიას თამაშად მიიჩნევენ;

მოზრდილებს მცდარი შეხედულებები აქვთ. ისინი ბულინგს ბავშვის განვითარების ბუნებრივ, არასაგანგაშო გამოვლინებად მიიჩნევენ („გაიზრდება და აღარ გააკეთებს“, „ბიჭები მაინც ბიჭები არიან“, „უბრალოდ, ყურადღებას ნუ მიაქცევ“ და სხვ.);

მოზრდილთათვის ბულინგი ხშირად დაფარულია. როგორც წესი, ბავშვები არ ატყობინებენ მოზრდილებს ბულინგის შემთხვევების შესახებ;

მოზრდილებმა არ იციან, როგორ უპასუხონ ბულინგს.

დაზარალებული ბავშვის დახმარება იხ. შემდეგ ნომერში

ნაამზრევი

გოეთეს საუბრები ეკერმანთან

1823 წლის 10 ივნისს, 31 წლის პოეტი იოჰან პეტერ ეკერმანი პირველად ესტუმრა ვაიმარელ ბრძენს, 74 წლის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს.

...ეკერმანი ერთგულ მეგობრად მოევლინა მას და ამ გენიერმა შემთხვევამ კაცობრიობას შემოუნახა სიბრძნის მთელი წიგნი. თუ გოეთეს მართლა ფორტუნა სწყალობდა, ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ეს შეხვედრა ეკერმანთან, რომელმაც მისი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა, სიცოცხლეში თანამოსაუბრედ და მრჩევლად ჰყავდა, გარდაცვალების წინ კი თხზულებათა რედაქტირება-გამოცემის რთული საქმე მიანდო.

...„გოეთეს საუბრები ეკერმანთან მისი სიცოცხლის ბოლო წლებში“, ან, როგორც ზოგ გამოცემაში უწოდებენ, „ეკერმანის საუბრები გოეთესთან“, იმ გენიერ წიგნთა რიცხვს ეკუთვნის რომელთა შექმნაც იშვიათად ხდება. ...საუბრებში ხომ ადამიანი უფრო უშუალოდ და გუნებრივად გამოხატავს თავის მოსაზრებებს.

...„საუბრების“ მთავარი ღირსება არის გოეთეს უშუალო, გულწრფელი მოსაზრებების სიუხვე – ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, გამოჩენილ ადამიანებზე, ისტორიულ მოვლენებზე *(შესავალი წერილიდან).*

გთავაზობთ ამონარიდებს წიგნიდან „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“.

ხუთშაბათი, 2 იანვარი, 1824

სუფრა გოეთესთან, გაცხოველებული საუბარია.

სუფრა რომ აიშალა და სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, მე და გოეთე კიდევ კარგა ხანს დავრჩით და ბევრ რამეზე ვისაუბრეთ.

მე საუბარი ისევ შექსპირზე ჩამოვაგდე:

შექსპირი რომ ინგლისური სინამდვილიდან მოგვეწყვიტა და განგვეხილა, როგორც მხოლოდ გერმანული მოვლენა, ისღა დაგვრჩებოდა, რომ ამ ბუმბერაზის სიდიდე რაღაც სასწაულად ჩაგვეთვალა. მაგრამ თუ ისევ თავის მშობლიურ ინგლისში დავსვამთ, თავისი საუკუნის ატმოსფეროში, სადაც ცხოვრობდა, შევისწავლით მის წინამორბედებსა და მემკვიდრეებს, უკვე იწყებს სუნთქვას ის ძალა, რომელიც მომდინარეობს ბენ ჯონსონიდან, მესინჯერიდან, მარლოდან, ბომონტიდან და ფლეტჩერიდან; მაშინ შექსპირი თუმცა ისევ ისეთ ბუმბერაზად რჩება, მაგრამ მისი სულის ზოგიერთი დიადი მხარე თვალწინ ნათლად წარმოგვიდგება, რადგან მისი ნამოქმედარიდან ბევრი რამ უკვე დაჰქროდა მისი დროის ნაყოფიერ ატმოსფეროში.

სავსებით მართალი ხართ, – მიპასუხა გოეთემ, – შექსპირის საქმე ისეა, როგორც შვეიცარიის მთებისა. გადაიტანეთ მონბლანი ლუნებურგის უნაპირო ველზე, და თქვენ სიტყვებს ვერ იპოვით მისი სიდიადის გამოსახატავად. მაგრამ ინახულეთ თავის ბუმბერაზთა სამეფოში, მიუახლოვდით თავისი დიდი მეზობლების გვერდით აღმართულს, სადაცაა იუნგფრაუ, ფინსტერაარჰორნი, აიგერი, ვეტერჰორნი, გოტჰარდი და მონტე როზა – მონბლანი აქაც ბუმბერაზად რჩება, მაგრამ ისეთ აღტაცებას კი აღარ იწვევს.

ხოლო თუ ვინმეს არ სჯერა, – განაგრძო გოეთემ, – რომ შექსპირის სიდიადეში მისი დიდი ეპოქის ძალისმიერი წილიც ურევია, ერთხელ თავს დაეკითხოს, შესაძლებელია თუ არა, რომ ეგზომ განსაცვიფრებელი მოვლენა დღევანდელ ინგლისში, 1824 წელს, კრიტიკანული და ვითომ მამხილებელი ჟურნალების უხამს დროში გამოჩენილიყო!

ისეთი უშფოთველი, სუფთა, თითქმის სომნამბულისტური შემოქმედება, – რაც ერთადერთია, დიადის შექმნას რომ სტიმულს აძლევს, დღეისათვის უკვე შეუძლებელია. ყველა ნიჭიერი მწერალი დღეს საზოგადოებრივ ლანგრებზე დამდგარი გვევლინება. ორმოცდაათამდე კრიტიკული ფურცელი გამოდის ყოველდღე სხვადასხვა ადგილას და თავიანთი გამოხდომებით აქეზებენ საზოგადოების მითქმა-მოთქმას. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია რაიმე ჯანსაღი ნერგი ამოვიდეს და გაიხაროს. ვინც დღევანდელ დღეს ასეთი მჩხრეკელობიდან შორს არ დადგება და თავისი შემოქმედების იზოლირებას ვერ შეძლებს, დაღუპულია. რაღა თქმა უნდა, უგემოვნო, ავი, ცუდი, ნეგატიური და ძირითადად უარყოფითი ესთეტიზებული და კრიტიკული საგაზეთო სტატიების საშუალებით მასებში რაღაც სანახევრო კულტურა გადის, ხოლო გამოჩენილი შემოქმედისათვის ეს არის ბოროტი ნისლი, დამღუპველი მუსრის შხამი, რაც მისი შემოქმედებითი ძალის ხეს ახმობს, დაწყებული მშვენიერი მწვანე ფოთლებიდან, უღრმესი და უხილავი ბოჭკოების ჩათვლით.

საერთოდაც, რა საცოდავი, უმწეო და უბადრუკი გახდა ჩვენი ცხოვრება უკანასკნელი რაღაც ორასი თუ სამასი წლის განმავლობაში! საიდან მოვიდეს ახლა ორიგინალური და შეუსუდრავი ბუნების ადამიანი! ვიღასა აქვს ძალა, რომ გულმართალი იყოს და თავი ისე გვიჩვენოს, როგორიც არის! ამას ასახავს პოეტი, რომელმაც ყოველივე ეს თავის თავში უნდა იპოვოს, მაშინ როდესაც გარედან ყველა ზურგს აქცევს და გასაჭირში ტოვებს.

24 თებერვალი, 1825 წ.

გოეთემ განაგრძო საუბარი ბაირონზე.

მარად უსაზღვროებისაკენ მიმართულ მის ბუნებას დიდი სარგებლობა მოუტანა იმ შეზღუდვამ, რაც სამი ერთიანობის კანონზე დაკვირვებამ მოახდინა. ნეტავი, ზნეობრივ სამყაროშიც ასევე შეეზღუდა თავისი თავი! სამწუხაროდ, ეს ვეღარ შეძლო და ამან დაღუპა, რადგან ლაგამაწყვეტილი ცხოვრებით გაწირა თავი.

თვით საკუთარ თავზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. თავისი დღე და მოსწრება სულ ვნებათა ღელვას მინდობილი მოქმედებდა, იმას კი არ უფიქრდებოდა, თუ რას აკეთებდა. თავისი პოემით „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები“ იმთავითვე გადაიკიდა თავისი დროის გამოჩენილი ლიტერატორები. შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, რათა ეარსება. მაგრამ შემდგომ, თავის შემოქმედებაში, ისევ დაიკავა შეურიგებელი და ქედმაღლური პოზიცია. არც ეკლესია და სახელმწიფო დაინდო თავდასხმებისაგან. ამ კადნიერმა გამოხდომებმა აიძულეს დაეტოვებინა ინგლისი და შემდეგ ევროპიდანაც კი გადახვეწილიყო. ყველგან ევიწროვებოდა და თავის განუსაზღვრელ პიროვნულ თავისუფლებაშიც კი თავს შევიწროვებულად გრძნობდა; ქვეყნიერება საპყრობილედ ეჩვენებოდა. საბერძნეთში ჩასვლა საკუთარი სურვილით არ მომხდარა. მთელ სამყაროსთან განხეთქილებამ აიძულა გადაედგა ეს გმირული ნაბიჯი.

მარტო ყოველივე ჩვეულებრივის, ტრადიციულის, პატრიოტულისაგან განდგომამ კი არა, მისმა რევოლუციურმა სულისკვეთებამ და მასთან დაკავშირებულმა მუდამ დაძაბულმა გრძნობა-გონებამ (გემუტ) შეუშალეს ხელი მის ნიჭიერებას, რომ სათანადო განვითარება მიეღო დიდი ტალანტის პატრონს. ამასთან, მარადიულმა ოპოზიციამ და თავისივე ბრწყინვალე ქმნილებების შეუფასებლობამ უდიდესი ზიანი მიაყენეს. ასეა არა მარტო იმიტომ, რომ პოეტის შელახული განწყობილება მკითხველსაც გადაეცემა, არამედ იმიტომაც, რომ მუდმივი საწინააღმდეგო მოქმედება ქმნის უარყოფას (ნეგატივს), უარყოფა არაფერს არ იძლევა. თუ ცუდს ცუდი ვუწოდე, ამით ბევრს რას მივაღწევ? რა სარგებლობას მოიტანს ეს? ხოლო, თუ კარგსაც ცუდი ვუწოდე, ეს უკვე ზიანს მოიტანს. ის, ვისაც სიკეთის მოტანა სურს, კი არ უნდა ილანძღებოდეს და სხვათა ნაკლს აზვიადებდეს, არამედ მარად სიკეთეს ემსახურებოდეს. საქმე ნგრევა კი არ არის, არამედ შექმნა იმისა, რაც კაცობრიობას ახარებს.

მე ვტკბებოდი მისი მშვენიერი სიტყვებით და მიხაროდა ეგზომ ძვირფასი გამონათქვამის მოსმენა.

ლორდ ბაირონი, – განაგრძობდა გოეთე, – უნდა განვიხილოთ, როგორც ადამიანი, ინგლისელი და დიდი ტალანტი. მისი საუკეთესო თვისებები უნდა მივაწეროთ მის ადამიანობას, ცუდი – ინგლისელობას; რაც შეეხება ტალანტს, აქ ის განუზომელია... ყველაფერი, რასაც ხელს შეახებდა, გამოსდიოდა, და შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მასში რეფლექსის ადგილს შთაგონება იჭერდა. მისი მოთხოვნილება მუდამ ის იყო, რომ შეექმნა. ამასთან, ყველაფერი, რაც ადამიანობიდან, მეტადრე გულიდან გამოდიოდა, ბრწყინვალეა. თავის თხზულებებს ის ქმნიდა ისე, როგორც ქალები ქმნიან მშვენიერ ბავშვებს, თუმცა ამაზე არც ფიქრობენ და არც არაფერი იციან.

ბაირონი დიდი ტალანტია, თვითნაბადი, და ჩემი აზრით, პოეტური ძალა არსად ისე მძლავრად არ ვლინდება, როგორც მასში. გარემოს აღქმითა და ნათელი, გამჭოლი ჭვრეტით ის შექსპირზე ნაკლები არაა. მაგრამ შექსპირი, როგორც სუფთა პიროვნება (ინდივიდი), უფრო დიდია. ამას ძალიან კარგად გრძნობდა ბაირონი, ამიტომაც მასზე ცოტას ლაპარაკობს, თუმცა მისი ქმნილებებიდან მთელი ადგილები ზეპირად იცოდა. ხალისითაც უარყოფდა, რადგან მისი სიცოცხლის სიყვარული შებრკოლების ლოდად ეღობება წინ და ვერაფერი გააწყო შექსპირისეული მხიარულების წინააღმდეგ, ვერაფერს უპირისპირებდა მას. ჰოპს არ კიცხავს, რადგან მისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. ხშირად ახსენებს და ყოველნაირად პატივსა სცემს, რადგან ძალიან კარგად იცის, რომ მის გზაზე ის მხოლოდ სუსტი თეჯირია.

გოეთესათვის ბაირონი ამოუწურავი იყო და თითქოს ყოველთვის სურდა მისთვის ესმინა. მცირე ხნით რომ სხვა საგანზე გადავიდოდა, მალე ისევ ამ თემას დაუბრუნდებოდა.

ინგლისის პერის მაღალმა მდგომარეობამ ბაირონზე ცუდი ზეგავლენა იქონია, რადგან გარესამყარო ზღუდავს გენიალურ ადამიანს, მით უფრო ეგზომ ამპარტავანსა და მდიდარ კაცს. ოქროს შუალედი ალბათ ბევრად უფრო ხელსაყრელია ნიჭიერი კაცისათვის, რადგან მხატვართა და პოეტთა უმრავლესობა საშუალო წოდებიდანაა გამოსული. ბაირონის მიდრეკილება განუსაზღვრელისაკენ ეგზომ საშიში არ იქნებოდა, უფრო დაბალი წოდებისა და ნაკლებად მდიდარი რომ ყოფილიყო... ან როგორ უნდა ჰქონოდა თავად ეგზომ წარჩინებულ ადამიანს სხვა წარჩინებულთა წინაშე რიდი და კრძალვა? ის ამბობდა იმას, რაც მოეხასიათებოდა და ამან მიიყვანა გარესამყაროსთან შეურიგებელ კონფლიქტამდე, მაგრამ როგორც პოეტი, ის იყო ჭეშმარიტი ბატკანი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ერთობლივი პროექტი „ვისწავლოთ ერთად“

შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ, სექტემბრიდან იანვრამდე, თბილისის 144-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი **მანანა კიკაჩეიშვილი**) მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა სამაჩაბლოდან, ზემო ნიქოზიდან დევნილი პედაგოგი **ნათელა მინდიაშვილი**. შემდეგ იგი დაუბრუნდა თავის სოფელსა და სკოლას, სადაც დაინიშნა სასწავლო ნაწილის გამგედ. თბილისში კი დიდი სიყვარული და სითბო დატოვა კოლეგებისა და მოსწავლეების გულებში.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში ნიქოზის სკოლის დირექციამ და ქალბატონმა ნათელამ თანამშრომლობისთვის მოგვმართეს. ორი შეხვედრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა, შეგვემუშავებინა პროექტი „ვისწავლოთ ერთად“. პროექტი ითვალისწინებდა იმ ღონისძიებების ნუსხას, რომლითაც გამოცდილებას გავუზიარებდით ჩვენს ნიქოზელ კოლეგებს. ოქტომბრის ბოლოს, გეგმის მიხედვით, პირველი შეხვედრა შედგა – 144-ე საჯარო სკოლას ზემო ნიქოზის სკოლის 15 პედაგოგი, სასწავლო ნაწილის გამგე და ისტ-მენეჯერი ეწვია.

ეს დღე მეტად დატვირთული გამოდგა მასპინძელი პედაგოგებისათვის. ნიქოზელი სტუმრები ყველა კლასში ესწრებოდნენ მათ მიერ ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილებს ქართულ ენაში, ბუნებაში, ხელოვნებაში, გეოგრაფიასა და მათემატიკაში, უცხო ენებში: ჩვეული ოსტატობა უჩვენეს კოლეგებს 144-ე სკოლის პედაგოგებმა: **მარინე გამცემლიძემ, მზევი ცომაიამ, მაია ცომაია-თორაძემ, დალი მიქავამ, ლია გულვერდაშვილმა, მანანა მჭედლიშვილმა, ხათუნა ჩოქურმა, ნინო მელქაძემ, თინათინ შენგელიამ, ეკა გოგუამ, დალი ლომთათიძემ, ნინო გამეზარდაშვილმა, მაია კორძაძემ და ანა დარსაველიძემ**.

გაკვეთილების შემდეგ, ორივე სკოლის პედაგოგებმა ისაუბრეს სწავლების თანამედროვე მეთოდების, სხვადასხვა აქტივობების გამოყენების, შეფასების კომპონენტების შესახებ. გაეცვნენ პედაგოგთა გეგმა-სილაბუსებს. სკოლების ფსიქოლოგები, ტოლერანტობის პედაგოგები – **ლატავრა პავლაძე** და **მარი გოგიშვილი** ერთმანეთს უზიარებდნენ გასულ სასწავლო წელს მიღებულ გამოცდილებას. როგორც გაირკვა ზემო ნიქოზის სკოლა ინტერნეტში არ არის ჩართული, ისტ-მენეჯერს, **ლევან ძამუკაშვილს** კი დიდი სურვილი აქვს, რაც შეიძლება მიზნობრივად და ეფექტურად გამოიყენონ პედაგოგებმა კომპიუტერები საგაკვეთილო პროცესში, ამიტომ განსაკუთრებით საინტერესო იყო მისთვის 144-ე სკოლის ისტ-მენეჯერების: **მარი ხუბუასა** და **ქეთი ქათამაძის** რჩევა-დარიგებები.

დღის ბოლოს შეჯამდა ის შედეგები, რაც პარტნიორობის ფარგლებში გამართულ პირველ შეხვედრას მოჰყვა. ნიქოზელმა პედაგოგებმა მადლობა გადაუხადეს მასპინძელ სკოლას გულთბილი შეხვედრისა და საქმიანი, საინტერესო, ბევრის მომცემი დღისათვის. ასეთი თანამშრომლობის საასიკეთო შედეგებზე ისაუბრა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის რესურსცენტრის უფროსმა, **მედეა სამსონიამ** და აღნიშნა, რომ გამოცდილების გაზიარების მსგავსი მეთოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭიროა ე. წ. საზღვრისპირა სოფლების პედაგოგებისათვის. კარგია, რომ 144-ე საჯარო სკოლა ამ მხრივ ტრადიციას აგრძელებს.

პროექტის ფარგლებში, ნოემბრის ბოლომდე, უკვე 144-ე საჯარო სკოლის პედაგოგები ესტუმრებიან პარტნიორ სკოლას.

ქეთი ქათამაძე

განათლების რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაა

განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმა, როგორც ცნობილია, მოიცავს საგანმანათლებლო სტანდარტებს, შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოებს, პედაგოგთა გადამზადების პროცესს.

ამ პროცესში, საქართველოს მრავალ სკოლათა შორის, ჩართულია გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის №1 საჯარო სკოლაც (დირექტორი – **ირინა მაისურაძე**). ამ სკოლის პედაგოგები მუდმივ მზაობაში არიან შეიმუშაონ ის ახალი მეთოდები და სტრატეგიები, რომელზე მოთხოვნილებაც თანამედროვე სკოლაში მკვეთრად გაიზარდა. კარგი შედეგი გამოიღო შეფასების ახალმა სისტემამ სართიჭალის №1 საჯარო სკოლაში: საშინაო დავალება – 30%, საკლასო აქტივობა – 30%, შემაჯამებელი ტესტი – 30%, პროექტი – 10%. მოსწავლე აცნობიერებს, როგორ ხდება მისი ცოდნის შეფასება და ამ მიდგომით უკეთეს შედეგს ვიღებთ. პედაგოგების მრავალწლიან გამოცდილებას დაემატა ტრენინგ-კურსებზე შეძენილი ცოდნაც, ახლებურად მიუდგნენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, რათა თითოეული გაკვეთილი მოსწავლისათვის საინტერესო იყოს. გარდა ამისა, კლასებს შორის ტარდებაკონკურსი საუკეთესო პროექტებს შორის. კლასი რეიტინგული ქულებითა და სიგელით ჯილდოვდება, ამ პროცესში მონაწილეობენ სამეურვეო საბჭოში შემავალი პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

პედაგოგები ემზადებიან მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტრენინგ-კურსების გასავლელად. ამ მიზნით, უკვე მიმდინარეობს შიდა სასკოლო მზადება. სერტიფიცირების მიზანი მხოლოდ მატერიალური მხარე კი არა, თითოეული პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ყოველდღიური ზრუნვაა. სერტიფიცირება მხოლოდ პირველი წინგადადგმული ნაბიჯია, რასაც შემდგომ მოჰყვება პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა. მიიტანო ყველა სიახლე მოსწავლემდე, ჩასწვდე მის სულიერ სამყაროს, განუვითარო ლოგიკური აზროვნება და ნასწავლის მიზანმიმართულად გამოყენების უნარ-ჩვევები – პედაგოგის მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს. სწორედ ამ მიზნით, სკოლაში კათედრებზე სისტემატურად იმართება პედაგოგთა შეხვედრა, სადაც მიმდინარეობს აზრთა გაზიარება, მიღწეული შედეგების შეჯამება თუ დაუძლეველი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

თანამედროვე სკოლა ვერ ეგუება ძველ სტერეოტიპულ გაკვეთილს. ელექტრონული ტექნოლოგიების საუკენეში მოზარდები, ხშირად, პედაგოგებზე მეტად ინფორმირებულები არიან და სირთულეებს რომ არ გადავაწყდეთ, საკუთარ თავზე მუდმივად მუშაობაა საჭირო. სამწუხაროა, რომ სოფელ სართიჭალაში ინტერნეტქსელი არ არის, თუმცა, სკოლა უახლესი კომპიუტერული ტექნიკითაა აღჭურვილი და, შეძლებისდაგვარად, ხერხდება მასწავლებელთა მომზადება „ირმის ნახტომის“ პროგრამით. ყველა ეს პირობა გვაძლევს იმედს, რომ სკოლის პედაგოგები წარმატებით დაძლევენ სასერტიფიკაციო გამოცდებს.

თინა აბაშიძე
სართიჭალის №1 საჯარო სკოლის
ხარისხის მართვის მენეჯერი

ისტორიული ტრადიციების იუბილარი სკოლა

მიმდინარე წლის, ოქტომბრის ბოლოს, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ თეატრში, 104-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **კარინე მანუკიანი**) 70 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო საღამო გაიმართა.

სკოლა 1938 წელს დაარსდა, როგორც სომხურენოვანი და საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე სასწავლებლად ითვლება. აქ ასწავლიდნენ გენტის, ბერლინის, პეტერბურგის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები. მათ შორის არიან მეცნიერების, ხელოვნების, მწერლობის დარგში მოღვაწე ადამიანები, აკადემიკოსები: **ედუარდ** და **მხითარ ჯრბაშიანები**, მწერალი **შაჰენ თათიკიანი**, მხატვარი **გევორქ გრიგორიანი**, იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორი **სურენ მკრტიჩიანი** და სხვ.

დღესდღეობით სკოლა აგრძელებს ისტორიულ ტრადიციებს. ყველაზე მრავალრიცხოვანია თბილისის სომხურენოვან სკოლებსა და სექტორებს შორის. 180 მოსწავლის განათლებას 30 პედაგოგი, 9 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი ემსახურება. ბოლო დროს დაარსდა გაზეთი „ვანქ“, ფუნქციონირებს ცეკვის, სიმღერისა და კარატეს წრეები.

იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანახმად, თბილისის 104-ე საჯარო სკოლის პედაგოგებსა და თანამშრომლებს სიგელები გადაეცათ.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ: სომხეთის ელჩი საქართველოში – **გნაჩ სილვანიანი**; საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი, გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორი **ვან ბაიბურთი**; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ირინე ქურდაძე**; საქართველო-სომხეთის კავშირის თავმჯდომარე **გენა მურადიანი**; სომხური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის წევრი **არმენ ბაიანდურიანი**; თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი **გია მურღულია**; ასევე ერევნის 198-ე სკოლის დირექტორი **არტაშეს თოროსიანი**; საქართველოს სომეხ მწერალთა კავშირ „ვერნატუნის“ თავმჯდომარე **ჟორა სნხსჩიანი**; მწერალი – **ანაიდა ბოხტანჯიანი**; ასევე, ამავე სკოლის კურსდამთავრებულები: **სურენ მკრტიჩიანი** – იურიდიული მეცნიერების დოქტორი, აკადემიკოსი, მოსკოვის ოლქის სამართლისა და მართვის ინსტიტუტის რექტორი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი კალათბურთში – **გოჰარ გრიგორიანი** და სხვ.

მათ წარმატებები უსურვეს იუბილარ სკოლას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **ირინა ქურდაძემ** მისალოცი წერილი წაიკითხა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ და მშობლიურ სკოლას იუბილე მიულოცეს სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა, სკოლის ცეკვის ანსამბლმა „ჯეირანმა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი – **სვეტლანა ერიბაიანი**).

სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა სკოლის 10 პედაგოგი დიპლომებითა და სიგელებით დააჯილდოვა. დირექტორს, ქალბატონ კარინე მანუკიანს, დიპლომთან ერთად, ოქროს მედალი გადაეცა.

ეკა გუტაშვილი

თბილისი ჩემი სახლია

მეორე წელია, თბილისის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „თბილისი ჩემი სახლია“, რომელშიც მონაწილეობენ თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. პროექტის მიზანია ერთა შორის კულტურული ურთიერთობების გაღვივება, დედაქალაქის სიყვარულის მომავალი თაობებისთვის გადაცემა. მონაწილეებს 98-ე სკოლა მასპინძლობს.

ოქტომბერში სკოლამ ებრაულ დიასპორას უმასპინძლა. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ორ-ავნერის“ აღსაზრდელებმა აჩვენეს, თუ როგორ შეიძლება ადამიანს უყვარდეს ქვეყანა და ქალაქი, სადაც ცხოვრობს და ამავდროულად უყვარდეს, ახსოვდეს და პატივს მიაგებდეს ისტორიულ სამშობლოს.

ღონისძიება გახსნა სკოლის დირექტორმა, რაბინმა **მეირ კოზლოვსკიმ**. მან დამსწრე საზოგადოებას მიულოცა სუქოთის დღესასწაული, რომელიც სწორედ ამ დღეებში იზეიმება და დამდეგი თბილისობა. იერუსალიმში დაბადებულმა და გაზრდილმა ბევრი საერთო აღმოაჩინა თბილისსა და მშობლიურ ქალაქს შორის. ისაუბრა თბილისის საოცარ თვისებაზე – დაიტიოს ყველა, ყველას გაუღოს კარი.

რაბინის გამოსვლას მოჰყვა საქართველოში ისრაელის სრულუფლებიანი ელჩის **იცხაკ გერბერის** სიტყვა, რომელმაც ისაუბრა ორი ქვეყნის მეგობრულ კავშირებსა და ურთიერთობებზე. გამოთქვა სურვილი, რომ ასეთივე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ ებრაელ და ქართველ ბავშვებს. ბატონმა ელჩმა ისაუბრა ისრაელის ისტორიაზე და მადლიერებით აღნიშნა, რომ ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში ებრაელები საქართველოში ისე გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სამშობლოში.

ამის შემდეგ გამოვიდნენ ბავშვები, რომლებმაც თბილისისა და იერუსალიმის გერბების სიმბოლიკაზე ისაუბრეს, შემოგვთავაზეს გასეირნება იერუსალიმისა და თბილისის ქუჩებში, შეასრულეს ორივე ქალაქისადმი მიძღვნილი სიმღერები, წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს ქართული და ებრაული ნაციონალური ცეკვები.

ღონისძიების ბოლოს არც გამასპინძლება დაივიწყეს. სტუმრებს წმინდა მიწიდან ჩამოტანილი ღვინო და ნაციონალური ტკბილეული შესთავაზეს.

ეს სიყვარულისა და მეგობრობის ზეიმი იყო.

ნინო საყვარელიძე

15 ოქტომბერი თბილისის დინამოს ყოფილი კაპიტნის, დიდი ფეხბურთელის, შოთა იამანიძის გარდაცვალების დღეა. 57-ე სკოლის ინიციატივით (დირექტორი **სოსო ხუციშვილი**) ეს თარიღი მინი-ფეხბურთში ტურნირით აღინიშნა. ორგანიზატორი და მთავარი მსაჯი იყო სპორტისა და ესთეტიკის კათედრის გამგე **ოთარ ბაქანიძე**.

ტურნირში მონაწილეობდნენ ვაკე-საბურთალოს რაიონის სკოლების ფეხბურთელთა გუნდები. უფროს ასაკში (V-VI კლ.) ორ ქვეჯგუფად დაყოფილი 12 გუნდი მონაწილეობდა. უმცროს ასაკში (III-IV კლ.) 7 გუნდი – წრიული სისტემით. ამ ჯგუფში ყველა შეხვედრა 57-ე სკოლელმა ფეხბურთელებმა მოიგეს.

უფროს ასაკში ფინალური შეხვედრა კერძო სკოლა „მოძღვარსა“ და 57-ე სკოლასთან არსებულ ნორჩ „დინამოელთა“ შორის გაიმართა. გამარჯვება 57-ე სკოლელებმა მოიპოვეს. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ გარდამავალი თასი, ხოლო გამორჩეულ ფეხბურთელებს – პრიზები, მედლები, ბურთები და წიგნი „ისწავლე ფეხბურთი“.

ნოემბრის ბოლოს კიდევ ერთი ტურნირი მოეწყობა. იგი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გურამ ფანჯიკის ხსოვნას მიეძღვნება.

ახალი ტურნირი

გორში ძიუდოისტთა ახალ ტურნირს ჩაეყარა საფუძველი – ოქტომბრის ბოლო დღეებში ტრაგიკულად დაღუპული მსოფლიოს ჩემპიონ კობა კურტანიძის ხსოვნის პირველი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა ჭაბუკთა შორის. 1989 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კურტანიძე ზუსტად 10 წლის წინ მშობლიური გორის მიდამოებში ორ თანმხლებ პიროვნებასთან ერთად გამოსასყიდის მიღების მიზნით ყაჩაღებმა გაიტაცეს. თავის არეში საბედისწერო ტრავმაც მათთან ჭიდილში მიიღო და დარჩენილი წლები სარეცელზე გაატარა. ის 6-წლიანი ავადმყოფობის შემდეგ, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

კურტანიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ტურნირის დაარსების იდეა მისსავე მეგობრებს ეკუთვნით, რომლებმაც ჩანაფიქრი რეალობად აქციეს და როგორც გვპირდებიან, ეს ტურნირი ტრადიციული გახდება. იმედია, ასეც იქნება, სადებიუტო შეჯიბრებაში უცხოელთაგან თურქები, სომხები და აზერბაიჯანელები გამოდიოდნენ.

ამ ტურნირში საქართველოს ნაკრები სრული გუნდით გამოვიდა. მისი შემადგენლობა ქვეყნის ჩემპიონატის შედეგებით გაირკვა – ყველა მედალოსანი ჭიდაობდა. მოკლედ, შეჯიბრებაში მასპინძლები რაოდენობრივადაც ჭარბობდნენ და შედეგებითაც აჯობეს სტუმრებს – 9 წონითი კატეგორიიდან რვაში გაიმარჯვეს, ის ერთადერთი ოქრო კი აზერბაიჯანმა მოიპოვა. ჩვენებურთაგან ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი შუკვანი** (34), **რატი ასანიშვილი** (38), **ბექა ნათათრაძე** (42), **ივანე მათიაშვილი** (46), **თამაზ კირაკოზაშვილი** (50), **სოლომონ თედიაშვილი** (55), **აპოლონ ზურაბიანი** (60) და **ბექა ღვინიაშვილი** (66). აზერბაიჯანელებმა კი ოქრო ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონაში ირგუნეს – **ფირუდინ დადაშოვმა** (+66).

მასპინძლებმა სტუმრები არა მხოლოდ ოქროს მედლებით, სხვა სინჯის ჯილდოებითაც დაჩაგრეს. მძიმე წონის გარდა, ყველა წონაში ქართული ფინალები გაიმართა და სტუმრები ვერცხლს საერთოდ ვერ შეწვდნენ, ბრინჯაოებიდან კი აზერბაიჯანელებმა 5, სომხებმა ორი მოიპოვეს, თურქები კი უმედლოდ დარჩნენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი ჩემპიონებიდან რამდენიმემ საქართველოს პირველობაზე ოქრო ვერ მოიპოვა. ესეც ერთი მაგალითია იმისა, რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთ ასაკში ხშირი ტურნირები – რეალური სურათი შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე შეიძლება შეიცვალოს.

სტუმრებს ყველგან აჯობეს

29 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე გორმა შიდა ქართლის კრივის ფუძემდებელ გიორგი კარელიძის სახელობის ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც ადგილობრივებთან ერთად თბილისის, ახალციხის, ახალქალაქის, გარდაბნის, ჭიათურის, ყვარლის, მცხეთის, ქუთაისის, ვარიანის, ქარელის, ფოთის, ვარიანისა და მესტიის გუნდები გავიდნენ. ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. უმცროსებში, ანუ 1996-97 წლებში დაბადებულთა შორის, ყველაზე წარმატებით გორელები გამოვიდნენ – 10 ოქრო მოიპოვეს. მასპინძელთაგან ჩემპიონები გახდნენ: **დავით მაღალაშვილი** (26), **ლაშა კობახიძე** (30), **ბექა ლაზარაშვილი** (32), **ვალერი მანძულაშვილი** (36), **გიორგი დოლიაშვილი** (44,5), **უჩა ყველაშვილი** (48), **ნიკა ნადირაძე** (52), **რატი ტლაშაძე** (54), **დავით თინიკაშვილი** (56) და **გიორგი ზედგინიძე** (58). ფოთის გუნდი მშობლიურ ქალაქში 4 ჩემპიონით დაბრუნდა – **ბადრი ხუციშვილი** (28), **გიორგი ჩარგაზია** (34), **გიორგი მანჯავიძე** (39,5) და **ნუკრი ადამია** (46). ასევე 4 ოქრო ირგუნეს ქუთაისელებმა – **ზაურ ხურციძემ** (38,5), **დიმიტრი შამათავამ** (41,5), **თემურ ჩხეიძემ** (43) და **იური ბუაძემ** (62). დანარჩენ წონით კატეგორიებში ახალქალაქელმა **პეტროს სტეფანიანმა** (40,5), მესტიელმა **ლადო კვანჭიანმა** (50) და ჭიათურელმა **პავლე გოგოლაძემ** (68) მოიპოვეს.

უფროსთა ტურნირში 1992-93 წლებში დაბადებული მოზარდები გამოდიოდნენ. ყველაზე მეტი – 4 ოქროს მედალი აქაც მასპინძლებმა დაისაკუთრეს: **გიორგი ყულუმბეგაშვილი** (48), **გიორგი დვალიშვილი** (64), **ნიკა სეხნიაშვილი** (69), **ბესიკ წკრიალაშვილი** (75). სხვა წონებში ყველაზე უკეთ ახალქალაქელმა **ვენეტიკ ერანოიანმა** (51), მესტიელმა **გელა გულედანმა** (57) და გარდაბნელმა **გიორგი კაკრიაშვილმა** (60) იასპარეზეს.

ყველაფერი დათმეს

საქართველოს 19-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და, საჩემპიონო თასთან ერთად, გაისად გასამართი 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც დაკარგა.

ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპს პორტუგალიის საუნივერსიტეტო ქალაქმა, კოიმბრამ უმასპინძლა, მასში სულ 8 გუნდი მონაწილეობდა. ჩვენმა ნაკრებმა პირველ შეხვედრაში გერმანია გაანადგურა – 34:3. მათი მომდევნო მეტოქე რუსეთი აღმოჩნდა, ამ გუნდების შეხვედრა ყოველთვის ზეპრინციპული და დაძაბულია. ქართველი მორაგბეები ჩრდილოელებს გამუდმებით უგებენ ყველა ასაკში და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა გამოდგა, თუმცა ჩვენებს პრინციპული მეტოქის ძლევა ცოტა გაუჭირდათ – 12:8 მოუგეს. ეს ნახევარფინალში მოხდა და ჩვენებიც ფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე იტალია იყო. სამხრეთელები ფინალში ლაღი თამაშით, იოლად მოპოვებული გამარჯვებებით გავიდნენ და დაამტკიცეს, ტურნირის უმთავრესი ფავორიტები რომ იყვნენ.

ფინალური შეხვედრა იტალიელთა უპირატესობით წარიმართა და, მთლიანობაში, იოლადაც გაიმარჯვეს – 16:3. ქაოსურად მოთამაშე ქართველებს მათ სწრაფად დაუდეს ლელო, რომელიც ზუსტად გარდასახეს. ჩვენებმა ვიტარების გამოსწორება და თამაშის სადავეების ხელში აღება კი სცადეს, მაგრამ ძლიერი მეტოქის რიდს ვერაფერი მოუხერხეს და რამდენჯერმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. დასაწყისშივე მათ რამდენიმე ისეთი შანსი გაანიავეს, ცხადი გახდა, თამაშის მომგებები არ იყვნენ. სამწუხაროდ, ჩვენებმა სასწაული მართლაც ვერ შემოგვთავაზეს და დამარცხდნენ. ევროპის პირველობაზე მეორე ადგილიც არაა ურიგო, მაგრამ ჩვენებს მთავარი სამიზნეები - თასი და 20-წლამდელთა საგაისო მსოფლიოს პირველობის საგზური მეტოქეს გადაულოცეს.

რუბრიკას უძღვება ***ირაკლი თავაძე***

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.